საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 19 იანვარი. 2018 წ. №12 (8413), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

მარგველაშვილმა პრეზიდენტის ინსტიტუტი რიგით არასამთავრობოდ აქცია!

◉ დღის ამოჩაზურიდან

რჩევა ანტიეროვნულ ოპოზიციას, სახალხო დამცველის სტუმრებს!

— ნახე, ხო, ახალ სახალხო დამცველს, ლომჯარიას ქალს, თავიანთი ფიურერის დასაცავად რა რიხითა და ომახით ეწვივნენ ძალაუფლებისთვის გამსუნაგებული ბიბილაშვილები, რურუები, დეკანოიძეები, ბოკუჩავები... თავიანთი სისხლხორცეული დებისა და ძმების სახელით...

— მაგ თავაწყვეტილ ნაციონალებს, ენად გაკრეფილ ქვეყნის შემაღონებელ ვაიპოლიტიკურ ფაროსნებს, ერთ რასმე ვურჩევდი და სანამ გვიან არ არის, კარგად დაიხსომონ: **როცა ყურებამდე ნეხვში ხართ ჩაფლული, პირს მაინც ნუღარ აღებთ...**

ჩაწერილია გუშინ მეტროსადგურ „თავისუფლების მოედანზე“

პეტრო პოროშენკოს გამაფრთხილებელი სიგნალი

უკრაინის უმაღლესი რადის მიერ გუშინ მიღებულ დონბასის რეინტეგრაციის კანონს პრეზიდენტი პოროშენკო აფასებს.

„ეს არის გადამწყვეტი სიგნალი დონბასისა და ყირიმისთვის, რომელიც რადამ ჩემი ინიციატივით მიიღო. ეს რეგიონები უკრაინის განუყოფელი ნაწილია. ჩვენ გავაგრძელებთ უკრაინის ოკუპირებული მიწების რეინტეგრაციას დიპლომატიური გზით“...

დონბასის რეინტეგრაციის კანონი დონბასის ოკუპირებულ ტერიტორიად გამოცხადებას გულისხმობს, რუსეთი კი აგრესორ ქვეყნად არის მოხსენიებული.

კადიროვმა უფლებადამცველები გააკრიტიკა

ჩეჩნეთში ე.წ. უფლებადამცველებისთვის ადგილი არ არის. ამის შესახებ რესპუბლიკის პრეზიდენტმა რამზან კადიროვმა განაცხადა.

— მაკვირვებენ ადამიანები, ვინც თავს ჩეჩნებს უწოდებენ და მათთან თანამშრომლობენ. მათ ჩვენს რესპუბლიკაში არაფერი გამოუვათ. მათ არც წარმომავლობა აქვთ, არც ეროვნება და არც რელიგია. რაც შეეხება საზოგადოება მემორიალის გროზნოს განყოფილების ხელმძღვანელს ოიუბ ტიტიევს, ის პირწავარდნილი ნარკომანია, — აღნიშნა კადიროვმა.

ფარული სამორინე ხელვაჩაურშიდა გვაკლდა!

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, აჭარის რეგიონში შესაბამისი სავალდებულო ნებართვის გარეშე მოქმედი სამორინე გამოავლინეს, სადაც აზარტული და მომგებიანი თამაშები სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტარდებოდა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ სოფელში, პირთა ჯგუფი, დიდი ოდენობით შემოსავლის/მოგების მიღების მიზნით, შესაბამისი ნებართვის გარეშე, ორგანიზებას უწევდა აზარტული და მომგებიანი თამაშების — სათამაშო ბორბლის (ე.წ. „რულეტკა“), ტოტალიზატორის და ბინგოს სისტემურ-ელექტრონული ფორმით ჩატარებას.

აღნიშნული უკანონო სამეწარმეო საქმიანობის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტისთვის მიყენებულმა ზარალმა 390 000 ლარი შეადგინა.

ნინო ხოფერია:

არისტოკრატია ჩვენში და სხვაგან ⑥

ქვევა ოფისიალურად

ზამთრის კურორტებზე კვების ობიექტები შეამოწმეს!

სურსათის ეროვნული სააგენტო ქვეყნის მასშტაბით ზამთრის კურორტებზე საზოგადოებრივი კვების ობიექტებს აქტიურად ამოწმებს. თბილისის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სამსახურების ინსპექტორებმა, როტაციის პრინციპით, ბორჯომის მუნიციპალიტეტში (ქალაქი ბორჯომი, დაბა ბაკურიანი, ახალდაბა) სასტუმროების, რესტორნებისა და კაფე-ბარების კვების ბლოკებში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა, სურსათის ეტიკეტირება, შენახვისა და რეალიზაციის პირობები შეამოწმეს. შემოწმების პარალელურად, გადამოწმდა რეგისტრირებული ბიზნესოპერატორების ბაზაც.

სახელმწიფო კონტროლი განხორციელდა 74 ობიექტზე, რომელთაგანაც 46 დაჯარიმდა. სააგენტოს წარმომადგენლებმა ბიზნესოპერატორებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სურსათის უვნებლობის მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციები მისცეს.

თიანეთში ბიუჯეტს მხარი დაუჭირეს

თიანეთის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ რაიონის 2018 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ ვარიანტს დადებითი შეფასება მისცა. კომისიის წევრების განცხადებით, ფინანსური დოკუმენტის მესამე ვარიანტში მათი შენიშვნები გათვალისწინებულია და ბიუჯეტი რაიონის ინტერესებს არის მორგებული.

თიანეთის მერი თამაზ მეჭიაური კი აცხადებს, რომ კომისიის მიერ ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებას პოლიტიკურ ნებას უკავშირებს და არა — შეტანილ ცვლილებებს.

„ეს იყო პოლიტიკური ნება არა ადგილობრივი წარმომადგენლობის, არამედ პარტიული ხელმძღვანელობის, გამომდინარე იქიდან, რომ თვითონ მათ იმიჯს აზიანებდა. ზაქარია ქუცნაშვილს მიაჩნია, რომ რაც უფრო ცუდადაა საქმე, მისთვის კარგია, რომ აქეთ ჩვენ დაგვწამოს არაკომპეტენტურობა, თავის მიერ გაფუჭებული საქმე ჩვენ გადმოგვაბრალოს. თუმცა ახლა ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ბავშვმაც კი იცის, რომ ამ ყველაფრის უკან დგას ზაქარია და ყველა პრობლემა, რომელიც დაგროვდა, ისე გაშუქდა, როგორც სინამდვილეში. მქონდა აქტიური კომუნიკაცია გუბერნატორთან და ნამდვილად იყო დაინტერესებული, რომ ეს საკითხი დროულად გადაწყვეტილიყო, მაგრამ მან მხოლოდ ის მოახერხა, რომ ეს საკითხი კომისიაზე განხილულიყო და გადაიტანეს ორშაბათისთვის“, — განაცხადა თამაზ მეჭიაურმა.



გილოცავთ საუფლო დღესასწაულს, ნათლისღებას — წყალკურთხევას!

51 მედიაორგანიზაციის ერთობლივი განცხადება

მედიაორგანიზაციები საპარლამენტო უმრავლესობას მიმართავენ, „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში განხორციელებულ ცვლილებებზე პრეზიდენტის, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის, სამოქალაქო სექტორის, მედიაორგანიზაციების აბსოლუტური უმრავლესობის შენიშვნები გაიზაირონ და არ დაძლიონ ვეტო. მედიაორგანიზაციები პარლამენტის თავმჯდომარესთან და მმართველ უმრავლესობასთან შეხვედრას ითხოვენ. მათ სახელზე მომზადებულ სპეციალურ განცხადებას 51 მედიაორგანიზაცია აწერს ხელს.

„მივესალმებით საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, რომელმაც ვეტო დაადო „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებს. მოგიწოდებთ, პრეზიდენტის ვეტო გამოიყენოთ, როგორც შანსი, კიდევ ერთხელ დაუბრუნდეთ ამ საკითხს და უფრო გულდასმით შეისწავლოთ ის საფრთხეები, რასაც მედიაგარემოს „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის სადავო რედაქცია უქმნის. გთხოვთ, გაიზიაროთ პრეზიდენტის, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის, სამოქალაქო სექტორის, მედიაორგანიზაციების აბსოლუტური უმრავლესობის შენიშვნები და არ დაძლიოთ ვეტო. ქვეყანაში, სადაც კომერციული რეკლამის ბაზარი ყოველწლიურად იკლებს, ხოლო საზოგადოებრივი მაუწყებლის საბიუჯეტო გარანტირებული დაფინანსება ყოველწლიურად არაერთი მილიონით იმატებს, სადაც საზოგადოებრივი მაუწყებლის გარანტირებული შემოსავალი მუდმივად აჭარბებს სარეკლამო ბაზრის ნახევარს, საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის სარეკლამო და სასპონსორო შესაძლებლობების მნიშვნელოვნად გაზრდა საფრთხეს უქმნის დამოუკიდებელი მედიის ფინანსურ მდგრადობას. მეორე მხრივ კი, ეჭვქვეშ აყენებს თავად საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეას, რაც სხვა კომპონენტებთან ერთად კომერციული გავლენისგან თავისუფლებას გულისხმობს. ჩვენი საზოგადოება იმსახურებს ძლიერ, გავლენებისგან თავისუფალ საზოგადოებრივ მაუწყებელს. ამავე დროს იმსახურებს დამოუკიდებელ კერძო მედიას, რაც ფინანსური მდგრადობის გარეშე გამორიცხულია. ვფიქრობთ კანონმდებლებმა უნდა უზრუნველყონ ორივე სიკეთის დაცვა. მოგიწოდებთ, გადაწყვეტილების მიღებამდე პარლამენტის თავმჯდომარემ და უმრავლესობის ფართო შემადგენლობამ, გამართოთ შეხვედრა დამოუკიდებელი მედიის წარმომადგენლებთან და მოისმინოთ ჩვენი არგუმენტები“, — ნათქვამია მიმართვაში. მიმართვა ღიაა ხელმოწერის მსურველი მედიაორგანიზაციებისთვის. მას ხელს აწერენ: **ტელეკომპანია „იმედი“, ტელეკომპანია რუსთავი-2“, ტვ „პალიტრანიუსი“, რადიო „პალიტრა“, ტვ „პირველი“, „ჯორჯია“, ტელეკომპანია „კავკასია“, ტელეკომპანია „იბერია“,. ტელეკომპანია ობიექტივი და სხვ. სულ 51 მედიაორგანიზაცია.**

ირაკლი კობახიძე მედიაორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდება

პარლამენტის თავმჯდომარე მედიაორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრის მზადყოფნას გამოთქვამს: **„ჩვენ მზად ვართ კონსულტაციების გაგრძელებისთვის, რაც არაერთხელ აღვნიშნეთ, ჩვენ მზად ვართ ასევე შეხვედრისთვის და სავარაუდოდ, ოფიციალური ვიზიტის დასრულების შემდეგ დავგეგმავთ შეხვედრას მედიის წარმომადგენლებთან“,** — განაცხადა კობახიძემ.

მედიაორგანიზაციები პარლამენტის თავმჯდომარესთან და მმართველ უმრავლესობასთან შეხვედრას ითხოვენ. მათ სახელზე მომზადებულ სპეციალურ განცხადებას 51 მედიაორგანიზაცია აწერს ხელს.

პარლამენტის თავმჯდომარე უკრაინას სტუმრობს

საქართველოს **პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ დელეგაციასთან ერთად უკრაინაში ოფიციალური ვიზიტი დაიწყო. ვიზიტის ფარგლებში პირველი შეხვედრა ირაკლი კობახიძემ უკრაინელ კოლეგასთან, უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარე ანდრიი პარუბისთან გამართა.**

საუბრის მთავარი თემა საპარლამენტთაშორისო ურთიერთობა და ორმხრივი თანამშრომლობის სხვადასხვა მიმართულებით გაღრმავების საკითხები იყო. აღინიშნა, რომ საქართველოსა და უკრაინას ეკონომიკური მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია. რეგიონში არსებულ საერთო გამოწვევებზე საუბრისას, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ქვეყნებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ. ყურადღება გამახვილდა საერთაშორისო ფორმატში კოორდინირებული თანამშრომლობის მნიშვნელობაზე.

საუბარი, ასევე, შეეხო საქართველოსა და უკრაინის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესს. მხარეებმა ერთმანეთს ქვეყნების დასავლური მისწრაფებების, ასევე, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ურყევი მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაუდასტურეს. შეხვედრის დასრულების შემდეგ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ და უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარემ პრესისთვის ერთობლივი განცხადებები გააკეთეს.

უკრაინის პრემიერის პირისპირ

უკრაინაში **ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე უკრაინის პრემიერ-მინისტრ ვოლოდომირ გროისმანს შეხვდა.**

შეხვედრაზე ორმხრივი ურთიერთობებზე ისაუბრეს და თანამშრომლობის პრიორიტეტული მიმართულებები განიხილეს. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და უკრაინის პრემიერ-მინისტრის შეფასებით, ორმხრივი ურთიერთობების განვითარების დადებით დინამიკაზე მეტყველებს მაღალი დონის გაცვლითი ვიზიტებიც. მხარეებმა ქვეყნების წინაშე არსებულ გამოწვევებსა და საერთო ინტერესებზე იმსჯელეს. ხაზგასმით აღინიშნა საპარლამენტთაშორისო და საერთო ფორმატში კოორდინირებული თანამშრომლობის მნიშვნელობა. საუბარი შეეხო საქართველოსა და უკრაინის ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესს. მხარეებმა ერთმანეთს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე, ქვეყნების დასავლური მისწრაფებების ურყევი მხარდაჭერა დაუდასტურეს.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, შეხვედრაზე თანამშრომლობის შესახებ მეგობრული და საინტერესო საუბარი შედგა. **„ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა უკრაინის პრემიერ-მინისტრთან, სადაც ორმხრივ თანამშრომლობაზე ვისაუბრეთ. საუბარი გვქონდა ამ თანამშრომლობის როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ განზომილებაზე. გვქონდა ძალიან მეგობრული და საინტერესო დისკუსია ჩვენი თანამშრომლობის შესახებ“,** — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

საქართველოს პრეზიდენტმა აფხაზეთის ომის მებრძოლები დააჯილდოვა

საქართველოს **პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისთვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობის, გმირობისა და თავდადებისთვის ვახტანგ გორგასლის I, II, III ხარისხის ორდენებითა და მედლებით, სიკვდილის შემდეგ, დააჯილდოვა აფხაზეთის ომში მონაწილე მებრძოლები.**

საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გაიხსენა ის დამსახურება და თავდადება, რომელიც ქართველმა მებრძოლებმა გამოიჩინეს სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

„წლების მერე მადლობა მინდა ვუთხრა იმ ადამიანებს, ვინც გმირულად შესწირა თავი ჩვენი სამშობლოს ერთიანობას და მთლიანობას.

საქართველოს დამოუკიდებლობის საწყისი პერიოდი იყო უაღრესად მძიმე, იმიტომ, რომ პირველივე დღეებიდან ჩვენ მოგვიხდა ჩვენი სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის დაცვა. ამისათვის მზად არ იყო სახელმწიფო, მაგრამ მზად იყო ჩვენი ერი, მზად იყვნენ ის ადამიანები, ვინც პატრიოტული სულისკვეთებით წავიდნენ სამშობლოს დასაცავად.

მათ ზურგს არ უმაგრებდნენ არც სახელმწიფო ინსტიტუტები, არც არავითარი სისტემა, მაგრამ ყველაზე ძლიერი რაც იყო, რაც აერთიანებდათ ამ ადამიანებს, ეს იყო ქვეყნის სიყვარული“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა თითოეულ ოჯახს, მათ ძმებსა და დებს, ქმრებს, შვილებს იმ ღვაწლისთვის, რაც მათ გაიღეს დღევანდელი საქართველოს შესაქმნელად. მათი გმირობა დღევანდელი ჩვენი ქვეყნის ფუნდამენტი და სიძლიერეა.

გამოკითხულთა უმრავლესობა მზადაა, არჩევნებში ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცეს

NDI-ის კვლევის საველე სამუშაოები ჩატარდა 29 ნოემბერი-19 დეკემბრის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით), 2,298 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე, ცდომილების ზღვარია +/-1.9%.

კვლევები ხორციელდება დიდი ბრიტანეთის მთავრობის UK aid-ის ფინანსური ხელშეწყობით. გამოკითხვას ატარებს CRRC-საქართველო.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების თანახმად, კითხვაზე: „ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას“, გამოკითხულთა 27% პასუხობს, რომ „ქართული ოცნებას“, 10 % — „ნაციონალურ მოძრაობას“, 3% — „ევროპულ საქართველოს, 7%- სხვა პარტიას.

ოჯახში ძალადობა საქართველოში ქალებისთვის პრობლემას წარმოადგენს

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა — 81% მიიჩნევს, რომ ოჯახში ძალადობა დღეს საქართველოში ქალებისთვის პრობლემას წარმოადგენს, 16% მიიჩნევს, რომ ეს პრობლემა არ არის და 4% ამბობს, რომ არ იცის.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 24%-მა განაცხადა, რომ ხმას არც ერთ პარტიას მისცემდა, 15%-მა არ იცის, 13%-მა კი პასუხზე უარი განაცხადა.

უმრავლესობამ არ იცის, ვინ არის პარლამენტში მისი მაჟორიტარი დეპუტატი

გამოკითხულთა უმრავლესობამ არ იცის, ვინ არის მისი მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში. შესაბამის კითხვაზე გამოკითხულთა 26%-მა სწორი პასუხი გასცა, 14%-მა არასწორი, ხოლო 59%-მა — არ იცის.

საქართველოში გენდერულ თანასწორობას დადებითად აღიქვამენ

გამოკითხულთა 80 % კაცებსა და ქალებს შორის თანასწორობას დადებითად უყურებს. გამოკითხულთა 16%-ს თანასწორობის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს, ხოლო 4% პასუხობს, რომ არ იცის.

ფემინიზმს დადებითად აფასებს გამოკითხულთა 26 %, 34% — უარყოფითად, ხოლო 39%-მა — არ იცის.

გენდერულ თანასწორობას დადებითად აღიქვამს გამოკითხულთა 67%, 23% უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს, ხოლო 9%-მა გენდერული თანასწორობის შესახებ კითხვაზე უპასუხა, რომ არ იცის.

პარლამენტის წევრი იმას გააკეთებს, რასაც პარტია ეტყვის

გამოკითხულთა 75% თვლის, რომ პარლამენტის წევრი იმას გააკეთებს, რასაც პარტია ეტყვის, 55%-ის აზრით პარლამენტში დეპუტატი მხოლოდ საკუთარ ინტერესებს დაიცავს, ასევე, 55% თვლის, რომ ის აქტიური იქნება, ხოლო 41%-ის აზრით, დეპუტატი მოსახლეობის ინტერესებს დაიცავს.

გამოკითხვები და გურამ კაშიას სამკლავური

კვლევის თანახმად, კითხვაზე, იცოდით თუ არა ჰოლანდიური „ვიტესის“ კაპიტანი და საქართველოს ნაკრების ცენტრალური მცველის გურამ კაშიას მიერ სამკლავურის გაკეთების შესახებ, გამოკითხულთა 52%-მა უპასუხა, რომ ამის შესახებ ინფორმაცია ჰქონდა, 43%-მა აღნიშნულის შესახებ არ იცოდა, 6%-მა კი დააფიქსირა პასუხი — „არ ვიცი“. იმ 52%-დან, ვინც კაშიას მიერ სამკლავურის გაკეთების შესახებ იცოდა, 76%-ს არ მოეწონა კაშიას ეს ქმედება, მაგრამ მას აქვს საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება. 47%-სთვის გურამ კაშიას ქმედება მიუღებელია, 46%-სთვის მისაღებია. 31% მხარს უჭერს კაშიას ქმედებას, ხოლო 62% კი არა.

მარგველაშვილმა პრეზიდენტის ინსტიტუტი რიგით არასამთავრობოდ აქცია!

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა „მატყუარა საინფორმაციო საშუალებების“ პრემიის გამარჯვებულები დაასახელა. ამის შესახებ დონალდ ტრამპმა Twitter-ის საკუთარ გვერდზე დაწერა. ჩამონათვალი 11 პუნქტისგან შედგება.

„მიუხედავად ძალიან კორუმპირებული და უსამართლო გარემოსი, არსებობენ შესანიშნავი რეპორტიორებიც, რომლებსაც მე დიდ პატივს ვცემ, ქვეყნდება კარგი ინფორმაციებიც, რომლითაც ამერიკელ ხალხს შეუძლია იამაყოს“, — აღნიშნა ტრამპმა. დაპირებული „მატყუარა მედიის პრემიის“ პირველ ადგილოსნად ტრამპმა New York Times-ის ჟურნალისტი პოლ კრუგმანი დაასახელა, რომელმაც იმავე დღეს, როცა ტრამპმა არჩევნებში გაიმარჯვა, დაწერა, რომ აშშ-ის ეკონომიკა ვეღარასოდეს აღდგებოდა.

მეორე ადგილზეა ABC-ის ჟურნალისტი ბრაიან როსი, რომლის რეპორტაჟმაც საბაზრო მოგების ვარდნა გამოიწვია. მესამე ადგილს კი ტელეკომპანია CNN იკავებს. ტრამპის მიერ მატყუარა მედიად დასახელებულებს შორის მოხვდნენ გამოცემები Time, Washington Post და Newsweek-იც. აშშ-ის პრეზიდენტი ამ გამოცემებს ღიად უპირისპირდება და ოპოზიციურ პარტიებად მოიხსენიებს.

მარგველაშვილი თავად აკნინებს პრეზიდენტის ინსტიტუტს. მან თავისი „უდიდესი“ მენტალური რეფორმებით, რომლებსაც რატომღაც ბოკერიას ხელწერა ეტყობა და „თავისუფლების ინსტიტუტის“ სუნი ასდის, პრეზიდენტის ადმინისტრაცია ანტისახელმწიფოებრივი დონორების ფულზე დამოკიდებულ, არასამთავრობოდ გადააქცია

საოცარია, მაგრამ ტრამპის ამ განცხადების შემდეგ, ქართული მედიაგარემოს ყველაზე აქტიური ნაწილი, ქართული ტელესივრცის საკმაოდ დიდი ნაწილი დამიდგა თვალწინ.

დიახ, სწორედაც რომ ქართული ტელესივრცე, რადგანაც მიუხედავად დიდი პრობლემებისა, რასაც, სამწუხაროდ, ხელისუფლების მხრიდან სრული უგულებელყოფაც უწყობს ხელს, ბეჭდური მედია ამ მხრივ ბევრად უფრო ჯანსაღად გამოიყურება.

ტელესივრცის ყველაზე „ნახვადი“ ნაწილი კი ფაქტობრივად ე.წ. „წამქეზებლად“ არის ქცეული, რომლის მიერ გავრცელებული ინფორმაციების ფორმა, პათოსი და არასწორად გადმოცემული შინაარსი, სწორედაც რომ ხალხის წაქეზებასა და არსებული სიტუაციის დაძაბვას უწყობს ხელს, რაც, დონალდ ტრამპის თქმისა არ იყოს, მათ არა მედიასაშუალების, არამედ უფრო „ოპოზიციური პარტიების“ სტატუსს აძლევს.

თანამონაწილეთა შორის ყველაზე რთული და მრავალმხრივი ფიგურა წამქეზებელია, ანუ ის, ვინც ამსრულებელს დანაშაულის ჩადენის გადამწყვეტ მოტივს უქმნის. წაქეზება გულისხმობს აქტიურ ზემოქმედებას ფსიქიკაზე, ამიტომ შეუძლებელია უმოქმედობით წაქეზება. წამქეზებლობა ფართო გაგებით „შუალობით ამსრულებლობასაც“ მოიცავს.

ამ ე.წ. წამქეზებელ-ოპოზიციონერებმა დაამკვიდრეს საკმაოდ უცნაური და აბსოლუტურად არაადეკვატური ნორმა: „ნახვადია“? ე.ი. რეიტინგულია, რაც მათი მხრიდან ე.წ. „სკანდალებისა“, თუ „ექსკლუზიური“ მასალების ისეთი სიშიშვლით გადმოცემის საშუალებას იძლევა, რაც ნორმალური საზოგადოებისთვის ყოვლად მიუღებელია.

მაგალითისთვის კი „რ2“-ის მიერ, გარდაცვლილი თემირლან მაჩალიკაშვილის დაკრძალვაზე გადაღებულ „რეპორტაჟს“ მოვიყვან, რომელშიც „ჟურნალისტმა“ ლამის იყო სამარიდან გადაიღო დაკრძალვის სცენა.

ახალგაზრდა ადამიანის გარდაცვალება საშინელებაა, მაგრამ ამ ტრაგედიის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება საზიზღრობა! განსაკუთრებით მაშინ, როცა „მიზანი“ სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაა.

განსაკუთრებით ამაზრზენია ის, რომ ე.წ. „დემოკრატიის დამცველების“ განცხადებები სავსეა არა ტრაგიზმით, არამედ ბოღმით. სავსეა იმ ღვარძლით, რომელსაც ვეღარ და აღარც მალავენ.

არ ვლაპარაკობ მხოლოდ თემირლან მაჩალიკაშვილის დაღუპვაზე. ყველა ტრაგედია, რაც ამ ბოლოს საქართველოში მოხდა, გადაყვანილია იმ ჭრილში, რომელიც მხოლოდ ერთადერთ მიზანს ემსახურება, ხალხის გონებაზე ზემოქმედებას, შიშის და უიმედობის დათესვას.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის, რომ იმ ფსიქოლოგიურ ბრძოლას, რომელიც საქართველოს მოსახლეობის წინააღმდეგ მიმდინარეობს, ახორციელებენ საქართველოს პარლამენტის წევრები, პრეზიდენტის აპარატის მაღალჩინოსნები, ყოფილი სახალხო დამცველი, პოლიტიკურად ანგაჟირებული, ე.წ. ოპოზიციის წარმომადგენლები და „გავლენიანი“ არასამთავრობოები.

ნამდვილ ტერორს ახორციელებენ მაშინ, როდესაც გამოძიება მიმდინარეობს და საბოლოო შედეგები ჯერ უცნობია, რაც ასევე გამოძიებაზე ზეწოლის ერთ-ერთი ფორმაა. ეს ომი საქართველოსა და ამ ხალხს შორის უკვე კარგა ხანია, მიმდინარეობს, ფრონტის ხაზი, ჯერჯერობით, მხოლოდ ტელეეკრანებთან გადის.

მთავარი შემსრულებელი ყველაზე გავლენიანი მედიასაშუალებაა, ხოლო მის მიერ აფეთქებული ფსიქოლოგიური ნაღმის ნამსხვრევებს, სხვებიც იტაცებენ და ვირუსის მსგავსად ავრცელებენ.

სამწუხაროდ, მოსახლეობას თავდაცვის არანაირი საშუალება არა აქვს, რადგანაც ის ბადე, რომელმაც ნაღმი უნდა აისხლიტოს და გაანეიტრალოს, არ არსებობს.

მხოლოდ ორიოდ მედიასაშუალებაში გახმიანებული ჭეშმარიტი ინფორმაცია, ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ უწევს ფსიქოლოგიურ ტერორისტებს და მათი ხმა ისე იკარგება, როგორც ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

ამა თუ იმ უაზრო გადაცემის „ნახვადობის“ ამაღლება, თავისუფლად შეიძლება იმით, რომ წამყვანმა რუსთაველის გამზირზე შიშველმა ირბინოს და ისე შექმნას თავისი პროდუქტი, მაგრამ ეს რეიტინგს არ ნიშნავს.

უმარტივესი ის იქნება, რომ მას აეკრძალოს ბიზნეს-ჯგუფებისთვის ინფორმაციის მიწოდება (ამ აკრძალვას მეორე მხარეც აქვს: თავიდან იქნება აცილებული ტელეკომპანიასა და რეიტინგების დამთვლელ ორგანიზაციას შორის კორუფციული გარიგება).

რეკლამის მიმტან ყველა ორგანიზაციას ჰყავს სარეკლამო სამსახურები, რომელთა პირდაპირ მოვალეობას იმ გადაცემებისა თუ ღონისძიებების განსაზღვრა წარმოადგენს, სადაც რეკლამის განთავსება ორგანიზაციისთვის მომგებიანი იქნება. სწორედ მათ უნდა განსაზღვრონ ის ტელეკომპანიები, გადაცემები თუ მედიასაშუალებები, რომელთაც მეტი ნდობის ხარისხი და ჯანსაღი „ნახვადობა“ აქვთ.

რაც შეეხება ხელისუფლებას, იგი ფაქტობრივად ე.წ. „არასამთავრობო სექტორის“ რაღაც განყოფილებად გადაიქცა და ამ ე.წ. „გავლენიანი არასამთავრობოების“ უაზრო მოთხოვნებს ემორჩილება. მოთხოვნებს, რომლებიც მხოლოდ შეფუთულია „დემოკრატიული პრინციპებით“ და ნამდვილ დემოკრატიასთან არაფერი საერთო არა აქვს (ეს დაახლოებით იმას ჰგავს, საბავშვო ბაღებში რძე ღვინის პაკეტებით რომ მიიტანეს. არადა, ეს გაცილებით სჯობია, რადგანაც ღვინის პაკეტებში შეიძლება რომ რძე ჩაასხა, ამ ე.წ. არასამთავრობოებში კი დემოკრატია მაშინვე აიჭრება).

ჩვენთან ყველაზე ლეგიტიმური ინსტიტუტი — პრეზიდენტი თავად გადაიქცა არასამთავრობო სექტორად და იმის ნაცვლად, რომ ჯეროვნად გამოიყენოს პრეზიდენტის ტრიბუნა, ხდება საზოგადოების ინტერესების სრული იგნორი და მეტიც — იქცა ანტისახელმწიფოებრივი განცხადებების სამჭედლოდ.

მარგველაშვილი თავად აკნინებს პრეზიდენტის ინსტიტუტს. მან თავისი „უდიდესი“ მენტალური რეფორმებით, რომლებსაც რატომღაც ბოკერიას ხელწერა ეტყობა და „თავისუფლების ინსტიტუტის“ სუნი ასდის, პრეზიდენტის ადმინისტრაცია ანტისახელმწიფოებრივი დონორების ფულზე დამოკიდებულ, არასამთავრობოდ გადააქცია.

ბოლო „არჩევანში“ ერთი საკმაოდ დამაფიქრებელი მომენტი იყო: მარგველაშვილი, იმის ნაცვლად, რომ „რ2“-ს ნამდვილ სახეზე გაემახვილებინა ყურადღება, გაბუნიას საზოგადოებაში აგრესიისა და ძალადობის პრესტიჟულობაზე ესაუბრებოდა და ისიც მწყაზარი სახით უსმენდა.

ფაქტობრივად, გამოვიდა, რომ ჩვენ — საზოგადოება ვართ აგრესიისა და ძალადობისკენ მიდრეკილი და ის სტუდია, სადაც მარგველაშვილი იჯდა — სათნოებისა და საერთო სიყვარულის ბუდე.

არადა, დარწმუნებული ვარ, რომ ამ დროს „რ2“-ის სამონტაჟოში „ძილი ნებისა პატარებოს“ მონტაჟი ნამდვილად არ იქნებოდა.

პრეზიდენტის აპარატის არასამთავრობო სექტორის დანამატად ქცევა ძალიან სერიოზული პრობლემაა. რომელსაც, სამწუხაროდ, მხოლოდ ფეისბუქზე ექცევა ყურადღება და ისიც გაკვრით.

მაგალითისთვის ვიტყვი, რომ ია მეტრეველის და ჯამბულ გამცემლიძის უდიდეს ტრაგედიას, ფაქტობრივად, არანაირი მედია გამოხმაურება არა აქვს და ამ დროს ვიღაც შიზოიდი ნარკომანის მიერ, ჩადენილ დანაშაულზე გამოტანილ განაჩენს, მიუხედავად იმისა, რომ პროკურორმა, მოსამართლემ, ექსპერტებმა, იურისტებმა კვალიფიციური დასკვნები დადეს, მაინც იმ ჭრილში ატრიალებენ, რომელიც მკვლელთა ხელშემწყობებს აწყობთ.

თავის სახელს დავარქმევ ყველაფერს და პირდაპირ ვიტყვი, რომ ანა დოლიძისა და ელენე ხოშტარიას მიერ გირგვლიანის საქმეში ჩართულობაზე აპელირება, არც მეტი და არც ნაკლები, პოზიორობა მგონია. პოზიორობა და ცოტა უარესიც.

უკვე უამრავი შეკითხვა მიჩნდება ამ „უფლებადამცველების“ მიმართ. მიჩნდება როგორც მოქალაქეს და როგორც ჟურნალისტს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მათგან ჩემს შეკითხვებზე პასუხს ვერ მივიღებ.

ერთი-ორი შეკითხვა ასეთი იქნება: როცა ამბობთ, რომ გირგვლიანის საქმეში აქტიურად იყავით ჩართული, გამცემლიძემ და მეტრეველმა რა დაგიშავეს? როცა პარლამენტის ტრიბუნა გაქვთ, როცა პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი ბრძანდებოდით, ამ ორმა (და კიდევ უამრავმა) საქმემ „წიხლი გკრათ“?!

მოკლედ რომ ვთქვა, პრეზიდენტის ინსტიტუტი საახალწლო „ვინეგრეტად“ გადაიქცა, რომელიც ვითომ სუფრას ავსებს, არადა, უკვე ყველას ყელში აქვს ამოსული.

თან ამ დროს შემოვა მეზობელი და ტოლმას შემოგიტანს, ანუ ვითომ იმ „ვინეგრეტს“ სჯობს, არადა, ეგეც უკვე...

დროა, ხელისუფლება გამოფხიზლდეს და რეალურ საზოგადოებაზე გააკეთოს აქცენტი, რომელიც თავისი ცოდნითა და გამოცდილებით, ამ ე.წ. არასამთავრობო სექტორელებს ჯიბეში ჩაისვამს და ასევე ყური დაუგდოს ნამდვილ მედიას. ნუ არის „რ2“-ის და მისი „შვილობილი“ მედიასაშუალებების მძევალი.

სხვანაირად, ქვეყანა ნელ-ნელა უპერსპექტივობის ჭაობში ჩაიძირება, თუ პერსპექტივად ხელისუფლებაში ბოკერიელებისა და მიშისტების დაბრუნებას არ ვგულისხმობთ!..

გია გაბრიჭიძე

სამშენებლო სამართალდარღვევების საგანგაშო სტატისტიკა

სამშენებლო სამართალდარღვევების სტატისტიკა საგანგაშოა. ამის შესახებ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა კახა კალაძემ განაცხადა.

თბილისის მერმა ზედამხედველობის სამსახურის მიერ მომზადებული სტატისტიკა წარმოადგინა, რომლის მიხედვით 2017 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 17 იანვრის ჩათვლით, სამშენებლო საკითხების მოწესრიგებასთან დაკავშირებით ზეპირსიტყვიერი გაფრთხილება მიეცა 200-ზე მეტ სამშენებლო ობიექტს;

უსაფრთხოების ნორმებისა და სამშენებლო პროექტის დარღვევებზე დაიწყო სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება 126 ობიექტის მიმართ;

დარღვევით მიმდინარე სამუშაოების გამო შეჩერდა 54 ობიექტის მშენებლობა;

სამშენებლო სამართალდარღვევებზე მიღებული დადგენილებით დაკისრებული საჯარიმო თანხის მთლიანი ოდენობა შეადგენს 627 000 ლარს.

„შემაშფოთებელია ის ფაქტები, რასაც ჩვენი ზედამხედველობის სამსახური ყოველდღიურად აწყდება. ციფრები, რომელიც მე წარმოვადგინე, საგანგაშოა და ჩვენ, რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში უნდა დავუხაროთ თავი ამ გამოწვევებს, პირიქით, უნდა მოვაწესრიგოთ ეს მიმართულება. არავითარ შემთხვევაში დავუშვებთ, რომ მიწები დაიტაცონ და უკანონო მშენებლობები წამოიწყონ. ამიტომ, მინდა კიდევ ერთხელ მოვუწოდო ბატონ გიორგი ბაგრატიონს, რომ რეაგირების გარეშე არ დავტოვოთ სამშენებლო სამართალდარღვევის არცერთი ფაქტი“, — განაცხადა კახა კალაძემ.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების დაფინანსების სისტემის ახალი მოდელი

თბილისის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროექტებს მერია 100 პროცენტით დააფინანსებს, ხოლო თი-

თოეული პროექტის ღირებულების 10 პროცენტის მოცულობის თანხას ამხანაგობები წარმოადგენენ და საერთო კრების შეთანხმებით, საკუთარ ინფრასტრუქტურულ და ეკონომიკურ საჭიროებებს მოახმარენ. ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე ისაუბრა. ამ მიმართულებით წელს დაახლოებით 28 მილიონი ლარი დაიხარჯება.

ახალი მოდელი ხელს შეუწყობს თანხების რაციონალურ და ეკონომიკურ ხარჯვას. **„აღნიშნული სისტემა, ასევე, მაქსიმალურად გამორიცხავს კორუფციის რისკებს, გააძლიერებს გამგეობებისა და ამხანაგობების თანამშრომლობას და მივიღებთ ეფექტიან, გამჭვირვალე, ინფრასტრუქტურულ და ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებულ სისტემას“,** — აღნიშნა თბილისის მერმა.

ბაღებში კვების ახალი ნორმა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განისაზღვრა

თბილისის მერი ქალაქის მთავრობის გუშინდელ სხდომაზე იმ ინფორმაციას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც საბავშვო ბაღებში კვების მენიუ წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად არის შემცირებული. კალაძემ ამ ინფორმაციას ტყუილი უწოდა და განაცხადა, რომ 2017 წელს საბავშვო ბაღების კვების რაციონი, ისევე როგორც კალორაჟის რაოდენობა, გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციით დამტკიცდა.

„გაეროს ბავშვთა ფონდი დიდი ხანია აღნიშნავს, რომ საქართველოში ბაგა-ბაღებში მენიუს მიხედვით გათვალისწინებული კალორაჟი არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. შესაბამისად, 2017 წლის ოქტომბრის თვეში საქართველოს მთავრობამ მიიღო 487-ე დადგენილება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა კალორაჟის ახალი ნორმა. აღნიშნული კალორაჟის მიხედვით მოხდა ახალი მენიუს დამტკიცება საერთაშორისო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად, ჯანდაცვის სპეციალისტების ჩართულობით. არსებულ მენიუში მოიმატა ცილოვანი პროდუქტების რაოდენობამ, მათ შორის ხორცის, თევზის, ყველის და რძის პროდუქტების და შემცირდა ბავშვთა ჯანმრთელობისთვის მავნე პროდუქტები. მათ შორის მარილისა და შაქრის დღიური ნორმა,“ — განაცხადა კახა კალაძემ.

ახალი სახე(ლ)ები მერიაში!..

თბილისის მერის კახა კალაძის გადაწყვეტილებით, მისი მეხუთე მოადგილე სოფიო ხუნწარია იქნება. ამის შესახებ კალაძემ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მერიის ახალგაზრდობის, სპორტისა და კულტურის სამსახურს კი ირაკლი გვილავა უხელმძღვანელებს.

მეტროსადგური „გურამიშვილი“ თვენახევრით იკეტება

მეტროსადგური „გურამიშვილი“ მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო, მგზავრებს 20 იანვრიდან 15 მარტამდე ვერ მოემსახურება.

მეტროსადგურ „გურამიშვილის“ რეაბილიტაცია 2017 წლის სექტემბრის ბოლოს დაიწყო და ამ დრომდე სამუშაოები ღამის საათებში მიმდინარეობდა. 20 იანვრიდან კი, იწყება ისეთი მასშტაბური სამუშაოები, როგორიცაა სადგურის ვესტიბიულების თაღების ჩამოხსნა და ჩაწნეხვა, დახრილი გვირაბის გაწმენდა, გალესვა, სამღებრო სამუშაოების წარმოება და ა.შ. ამ პერიოდის განმავლობაში დანარჩენი მეტროსადგურები ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებენ მუშაობას, „გურამიშვილის“ სადგურს კი მატარებლები შეუჩერებლად გაივლიან.

ესტაკადის მშენებლობაზე ტენდერი გამოცხადდა

თბილისში, მარშალ გელოვანისა და სარაჯიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე ესტაკადა აშენდება. შესაბამისი ტენდერი თბილისის მერიამ უკვე გამოაცხადა. ტენდერში წინადადებების მიღება 3 თებერვალს იწყება და 8 თებერვალს სრულდება.

სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, ესტაკადის მშენებლობის შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 4 307 727 ლარს შეადგენს და მისი მშენებლობა, ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულების დადებიდან, 180 დღეში უნდა დასრულდეს.

დოკუმენტაციის მიხედვით, შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადად განისაზღვრება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წელი. სამუშაოების დასრულების შემდეგ საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებული იქნება აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით.

შეგახსენებთ, რომ ვაშლიჯვრიდან გელოვანის გამზირზე გადმოსასვლელი ესტაკადის მშენებლობა 2017 წელს უნდა დაწყებულიყო. ამ გზას მნიშვნელოვნად უნდა განეტვირთა სატრანსპორტო კვანძები. 2016 წლის ბოლოს თბილისის მაშინდელი მერი დავით ნარმანია აცხადებდა, რომ ეს ადგილი წარმოადგენდა ერთ-ერთ რთულ მონაკვეთს ქალაქში და ახალი ესტაკადა ამ გზაზე გადაადგილებას გაცილებით მარტივს გახდიდა. უკვე თვითმმართველობის არჩევნებამდე, მაშინ, როდესაც თბილისის მერობის კანდიდატმა კახა კალაძემ საზოგადოებას, პროგრამული ხედვის ფარგლებში, სატრანსპორტო პოლიტიკა და მისი ძირითადი მიმართულებები წარუდგინა, პროგრამაში ვაშლიჯვრიდან გელოვანის გამზირზე გადმოსასვლელი ესტაკადაც მოხვდა. მაშინ ითქვა, რომ ესტაკადის მშენებლობა სწორედ 2018 წელს დაიწყებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მარშალ გელოვანის ქუჩას ორმხრივი მიმართულების გზა აქვს, გამყოფი ზოლით და თითოეული მიმართულებით 3 სამოძრაო ზოლია, პიკის საათებში ქუჩა ძალიან გადატვირთულია და მოძრაობის სიჩქარე მკვეთრად ეცემა, მცირდება ქუჩის გამტარუნარიანობა, ამას ემატება ვაშლიჯვრის დასახლებიდან შეკრებილი სატრანსპორტო ნაკადები, რომლებიც ერთმანეთს სარაჯიშვილის ქუჩაზე უერთდებიან და გელოვანის ქუჩების გადაკვეთაზე ერთ დონეში გამოდის. ესტაკადის მოწყობა კი ცალსახად შეუწყობს ხელს მოძრაობის განტვირთვას.



კომერსანტი

თბილისში სამშენებლო ნებართვების გაცემის საბჭოს საქმიანობა გაუმჭვირვალეა!

თბილისში უნებართვო მშენებლობაზე ჯარიმა არაგონივრულად დაბალია და ასევე აღსრულება არ ხდება, — აღნიშნულია აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობის 2018 წლის გეგმაში. შესაბამისად, როგორც გეგმაშია აღნიშნული, წელს უწყება თბილისის მერიის მიერ გაცემული სამშენებლო ნებართვების შესახებ ეფექტიანობის აუდიტს ჩაატარებს.

აუდიტის სამსახური აუდიტის ჩატარების მოტივაციად ასახელებს იმას, რომ „თბილისში მშენებლობები მიმდინარეობს სტიქიურად. ხშირია ფუნქციური ზონების ცვლილების შემთხვევები, ასევე სამშენებლო კოეფიციენტების ცვლილებები სამშენებლო ნებართვების გაცემის შემდგომ:

— სამშენებლო ნებართვების გაცემის საბჭოს საქმიანობა არ არის გამჭვირვალე;

— პროექტის დამტკიცებისათვის საჭირო კრიტერიუმების ერთგვაროვნება უზრუნველყოფილი არ არის;

— სამშენებლო ე.წ. ზონალური დაყოფა და მათი კომუნიკაცია დარგისათვის, თუ სად რისი აშენებაა შესაძლებელი, ანუ გენგეგმის შესაბამისად;

— გენერალური გეგმის მომზადებასთან დაკავშირებული ხარჯები — არაეკონომიურობა;

— მერიის შიდა სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაციის ნაკლებობა (გეოლოგია, ზედამხედველობა, არქიტექტურა);

— დამტკიცებულ პროექტებში შეტანილი ცვლილებები არაგამჭვირვალეა, ბანერი და საჯარო რაც არის, იმას არ შეესაბამება;

— სამშენებლო პროცესის რეგულირება — როდის, როგორ, უსაფრთხოების ზომებს თუ იცავენ!

— მშენებლობის პროცესის დაწყება ნებართვის გარეშე, რამეთუ უნებართვო მშენებლობაზე ჯარიმა არაგონივრულად დაბალია და ასევე აღსრულება არ ხდება“, — წერია აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობის 2018 წლის გეგმაში.

სანამ იქნება კონფლიქტები გახრწნილი და გაყინული?!

გაერო ევროპაში შულლის აღმოსაფხვრელად

გაეროს გენერალური მდივანი ანტონიუ გუტერეში გაუმართლებლად მიიჩნევს ევროპაში ე.წ. გაყინული კონფლიქტების შენარჩუნებას. შესაბამისი განცხადება გუტერეშმა 16 იანვარს გენერალური ასამბლეის სხდომაზე გამოსვლისას გააკეთა. გაეროს გენერალურმა მდივანმა 2018 წლის პრიორიტეტებს შორის დაასახელა იმ პარალიზის აღმოფხვრა, რომელმაც ხელი შეუწყო ევროპაში კონფლიქტების გაყინვას. გუტერეშმა ილაპარაკა ასევე საშუამავლო ინიციატივების, მათ შორის ჟენევის საერთაშორისო დისკუსიის ფორმატის გააქტიურების აუცილებლობაზე.

გაეროს გენერალური მდივნის შეფასებით, ორი მსოფლიო ომისა და ევროპისთვის ხელმისაწვდომი რესურსებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, გაუმართლებელია რეგიონში კონფლიქტების შენარჩუნება. შესაბამისად, ანტონიუ გუტერეშის თქმით, აუცილებელია საერთაშორისო თანამეგობრობამ დაძლიოს ის პარალიზი, რომელიც ევროპაში კონფლიქტების გახრწნასა და გაყინვას იწვევს:

აქ გვყავს საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლები, რომლებიც არ მისცემენ საშუალებას რუსეთს შეთანხმების დარღვევისას უკან დაიხიოს და თქვას, ასეთი რამ არ მომხდარაო და ა.შ.

„ამ სიტუაციების მოგვარება მოითხოვს ნაციონალიზმის სახიფათო ნაკადის უკუგდებას და შესაბამისი საშუამავლო ინიციატივების გამოცოცხლებას – მათ შორის ნორმანდიული ფორმატი და სამმხრივი საკონტაქტო ჯგუფი აღმოსავლეთ უკრაინაზე, ეუთოს მინსკის ჯგუფი მთიან ყარაბახზე, საქართველოსთან დაკავშირებული ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები და „5+2“ პროცესი დნესტრისპირეთზე“.

ანტონიუ გუტერეშის მიერ ნახსენები ჟენევის საერთაშორისო დისკუსიის ფორმატი უშუალოდ შეეხება საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარების პროცესს, რომელშიც ჩართულია გაერო, ეუთო, ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი. „საქართველოს ატლანტიკური საბჭოს“ აღმასრულებელი დირექტორის გიორგი მუჩაიძის თქმით, აღნიშნული ფორმატის განსაკუთრებულობაზე მეტყველებს თუნდაც ის გარემოება, რომ საქართველო რუსეთთან პირისპირ მარტო არაა დარჩენილი.

„აქ გვყავს საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლები, რომლებიც არ მისცემენ საშუალებას რუსეთს, შეთანხმების დარღვევისას უკან დაიხიოს და თქვას, ასეთი რამ არ მომხდარაო და ა.შ., ანუ არიან ის საერთაშორისო არბიტრები, რომლებიც დადებულ შეთანხმებებს - წერილობითი იქნება თუ ზეპირი, რომლებიც უზრუნველყოფენ იმ მიზნების შესრულებას, რაც არის ჟენევის დისკუსიის ფორმატში, მათ შორის, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნებას, მათ შორის, როცა პრობლემები იქმნება ადამიანების გატაცების სახით და ა.შ.“, – უთხრა გიორგი მუჩაიძემ რადიო „თავისუფლებას“.

სწორედ ჟენევის ფორმატის მეშვეობით მოხერხდა მხარეებს შორის ე.წ. ცხელი ხაზის ამუშავება, რაც, გიორგი მუჩაიძის თქმით, იძლევა სწრაფი და ეფექტიანი რეაგირების საშუალებას კონფლიქტის ზონაში ჩადენილ დანაშაულზე. საქართველოს მთავრობაშიც მიიჩნევენ, რომ ჟენევის ფორმატი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პოლიტიკური მექანიზმია, თუმცა, როგორც მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, საჭიროა ფიქრი ჟენევის ფორმატის გაძლიერებასა და ეფექტიანობის გაზრდაზე:

„ჟენევის დისკუსიების არსებული ფორმატის ფარგლებში უნდა ავწიოთ დონე და მინისტრის მოადგილის დონიდან გადავიდეთ მინიმუმ მინისტრის დონეზე და მზად ვარ, პრემიერ-მინისტრის დონეზეც გადავიდეთ და პირადად ჩავერთვები აუცილებლად ამ ფორმატის საქმიანობაში. გარდა ამისა, ჩვენი მოთხოვნა და თხოვნაცაა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების მიმართ, რომ ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების მანდატიდან გავფართოვდეთ და კონფლიქტის პოლიტიკური გადაწყვეტის ფორმატის ფუნქციაც და მანდატიც მივანიჭოთ ამ ფორმატს. იმედი მაქვს, რომ ამ მიმართულებით შესაძლებელია, განხორციელდეს გარკვეული ძვრები. რუსეთის ქმედებები დღეს ამის იმედს არ იძლევა, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ჩვენი მხრიდან უნდა იყოს კონსტრუქციული მიდგომა და ჩვენ ამ კონსტრუქციულ მიდგომას ნაბიჯ-ნაბიჯ ვახორციელებთ“.

გაეროს გენერალური მდივნის განცხადებას საშუამავლო ინიციატივების გამოცოცხლების თაობაზე მიესალმებიან საქართველოში. გიორგი მუჩაიძის თქმით, აღნიშნული განცხადება შეიძლება, იქცეს ახალ იმპულსად კონფლიქტის მოგვარების მექანიზმების დახვეწისათვის, რადგან მოუგვარებელი კონფლიქტები საქართველოში პირდაპირ არის დაკავშირებული ევროპის უსაფრთხოებასთან.

ჯიმშერ რეხვიაშვილი

სამსონ ქუთათელაძეს გარკვეული პირები სთხოვდნენ თანხას!..

გენერალ სამსონ ქუთათელაძის მკვლელობის საქმის ფარგლებში დაკავებული გიორგი ჭანტურიას ადვოკატი აცხადებს, რომ მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე კონკრეტული პირები გენერალ ქუთათელაძისთვის ფულის გამოძალვას ცდილობდნენ, თუმცა ისინი ამ დრომდე გამოძიებას არ დაუკითხავს. ანა კეკელიძის განცხადებით, ჭანტურიას საქმე ამ დრომდე გამოყოფილი არ არის სამსონ ქუთათელაძის მკვლელობის საქმიდან და შესაბამისად, მას არა აქვს წვდომა ამ საქმის მასალებთან.

ადვოკატის ინფორმაციით, ჭანტურია საგამოძიებო უწყებაში ხელმეორედ 16 იანვარს დაიბარეს, თუმცა ის 4 საათიდან ღამის პირველ საათამდე არ დაუკითხავთ და ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა. კეკელიძე ამბობს, რომ ჭანტურიას აიძულებდნენ, სამსონ ქუთათელაძის მკვლელობა ეღიარებინა.

ქართველი და რუსი მკვლელები გერმანიაში დააკავეს!

გერმანიაში საქართველოს მოქალაქე დააკავეს. გამოძიების ინფორმაციით, 39 წლის მამაკაცს რუს მეუღლესთან ერთად 59 წლის მამაკაცის მკვლელობა ბრალდება.

არსებული ინფორმაციით, ქალაქ ულმიში, ბოროტმოქმედებმა ბინის გაქურდვისას სახლის მეპატრონე სასტიკად სცემეს, რის შედეგადაც ის მიყენებული დაზიანებებისგან საავადმყოფოში გარდაიცვალა. შემთხვევას შეესწრო მოკლული მამაკაცის 91 წლის დედაც.

გამოძიებას აქვს ეჭვი, რომ დაკავებულებს გარდაცვლილის ოჯახთან ნაცნობობა აკავშირებდათ. პოლიციელები ამ დრომდე ეძებენ მოპარულ ნივთებსა და ძვირფასეულობას.

ბიბილოვი: ცხინვალი ოკუპირებული რეგიონია

როგორც ვწერდით, ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო ლიდერმა ანატოლი ბიბილოვმა ევროპულ ქვეყანაში პირველი ვიზიტი განახორციელა. 8-13 იანვარს იგი „ოფიციალური ვიზიტით“ რესპუბლიკა სერბულს სტუმრობდა. ვიზიტის ფარგლებში ბიბილოვი მის პრეზიდენტ მილორად დოდიკს შეხვდა.

როგორც აღინიშნა, ე.წ. სამხრეთ ოსეთი ამ ბალკანურ ტერიტორიასთან კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სფეროებში ურთიერთთანამშრომლობას გეგმავს. ბიბილოვს რიგი შეხვედრები ჰქონდა თავად სერბეთის ტერიტორიაზეც, თუმცა ამ უმსხვილესი ბალკანური ქვეყნის ოფიციალურ პირებთან შეხვედრების შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა.

იმ დროს, როდესაც ცხინვალის რეგიონში ბიბილოვის ვიზიტი დადებითად შეაფასეს, ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში რეაქცია განსხვავებული იყო. საქართველომ ოფიციალური პროტესტი გამოთქვა ბალკანური ქვეყნის წინაშე. თუმცა ბოსნიის საგარეო საქმეთა სამინისტროში ბიბილოვის ვიზიტთან ყოველგვარი კავშირი უარყვეს და განაცხადეს, რომ ეს „მხოლოდ აფუჭებს რესპუბლიკა სერბულის რეპუტაციას“.

რესპუბლიკა სერბული უმთავრესად ეთნიკური სერბებითაა დასახლებული, მისი მოსახლეობა დაახლოებით 1,3 მლნ ადამიანს შეადგენს. რესპუბლიკა ბოსნიისა და ჰერცოგოვინას ნაწილს წარმოადგენს და არა დამოუკიდებელ სახელმწიფოს. მიუხედავად ამისა, იგი მნიშვნელოვანი ავტონომიით სარგებლობს. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ მას სხვადასხვა ქვეყნებში საკუთარი წარმომადგენლობები გააჩნია. ამასთან, ხანგრძლივი დროის განმავლობაში რესპუბლიკა სერბულს საკუთარი ჯარი ჰყავდა.

შორეული ცხინვალის რეგიონის მიმართ მოულოდნელი სიმპათიები შეიძლება, ბალკანებზე რუსეთის გავლენით აიხსნას, განსაკუთრებით – მართლმადიდებელ სერბებს შორის. რესპუბლიკა სერბულის ფინანსური კავშირები მოსკოვთან ფართოდაა ცნობილი. საუბარია, უპირველესად, „გაზპრომისა“ და კრემლთან დაახლოებული რიგი სხვა მსხვილი კომპანიების ინვესტიციებზე.

„სამხრეთ ოსეთის ინსტიტუტებთან ურთიერთქმედება სრულიად კანონიერად მიმაჩნია. ამის შედეგია ჩვენს სამინისტროებს შორის შეთანხმების გაფორმება. ჩვენ ვეძებთ შეხების წერტილებს სამომავლოდ თანამშრომლობის გაღრმავებისათვის“, – განაცხადა რესპუბლიკა სერბულის პრეზიდენტმა მილორად დოდიკმა.

ბოსნიისა და ჰერცოგოვინას საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ცრნადაკმა კი, პირიქით, გააკრიტიკა რესპუბლიკა სერბული:

„რატომ არ ჩამოდიან ჩვენთან ბავარიის, ლომბარდიის, კატალონიის, სხვა, ჩვენზე უფრო ძლიერი ქვეყნების უფრო ძლიერი რეგიონების წარმომადგენლები? ის ფაქტი, რომ საერთაშორისო მასშტაბით ბოსნიის ნაწილად აღიარებულ რესპუბლიკა სერბულში პატარა არაღიარებული ტერიტორიის ლიდერს იღებენ, ბალკანურ რესპუბლიკას ზიანს აყენებს“.

ბალკანეთში ვიზიტამდე ბიბილოვმა კიდევ უფრო სადავო სტატუსის მქონე ტერიტორია – „დონეცკის სახალხო რესპუბლიკა“ მოინახულა.

რაც შეეხება ბალკანეთში ჩასვლას, ბიბილოვმა გააკეთა ორაზროვანი განცხადებები, რომლითაც ამ ვიზიტის მიზნები საეჭვოდ აქცია. პროკრემლისეული „Sputnik Сербия“-ს კითხვაზე, როგორად ხედავს იგი „სამხრეთ ოსეთს“ 10 წლის შემდეგ, ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო ლიდერმა განაცხადა, რომ „სამხრეთ ოსეთს აყვავებულს ხედავს, თანაც რუსეთის შემადგენლობაში“.

ამგვარად, ბიბილოვმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იღვწის არა დამოუკიდებელი „სამხრეთ ოსეთის“, არამედ რუსეთის შემადგენლობაში უსწრაფესი გაერთიანებისათვის. ამასთან, იგი არ განმარტავს, რატომ გაშალა სხვა ქვეყნის შემადგენლობაში შესვლამდე „სამხრეთ ოსეთმა“ საგარეო პოლიტიკური აქტივობა სხვა ქვეყნების მიერ მისი აღიარებისთვის.

kavkazr.com/a/stolknovenie-reputaciy/28976628.html?nocache=1

გმირთა მოედანზე სამი ადამიანი დაჭრეს

გმირთა მოედანზე, გვიან ღამით ერთ-ერთ რესტორანში ფიზიკური დაპირისპირების შედეგად სამი ადამიანი დაჭრეს. დაჭრილებიდან ყველაზე მძიმედ ერთ-ერთის მდგომარეობაა, რომელიც ამ დრომდე რეპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფება.

გავრცელებული ინფორმაციით, სისხლიან გარჩევას წინ ფიზიკური დაპირისპირება უძღოდა. დაშავებულები სასწრაფო დახმარების ბრიგადებმა სხვადასხვა საავადმყოფოში გადაიყვანეს.

რა გახდა ურთიერთდაპირისპირების მიზეზი, უცნობია. ადგილზე საპატრულო პოლიციასთან ერთად, საგამოძიებო ნაწილის წარმომადგენლები გამთენიამდე მუშაობდნენ.

ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №268

არისტოკრატია ჩვენში და სხვაგან

1998 წლის ოქტომბერში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებაში თავისი ერთი მრევლთაგანი, საკუთარი არისტოკრატიული წარსულისა და სამშობლოს ერთგულებისთვის რეპრესირებული ქალბატონი მოიხსენია. **„მე ვიცნობ ერთ ადამიანს, ის 95 წლისაა და როდესაც მასთან მქონია საუბარი, ამბობს ხოლმე, რომ გუშინდელი დღე ჰგონია თავისი ახალგაზრდობა. თქვენ იცნობთ მას, ეს გახლავთ ქალბატონი ბაბო დადიანი. ძალიან კეთილი პიროვნება, რომელმაც ძალიან მძიმე ჯვარი ატარა. იგი ორჯერ იყო გადასახლებული მთელი ოჯახით არაფრის გამო და როდესაც მე ვკითხე იმ გადასახლებაში როგორ ცხოვრობდით-მეთქი, მიპასუხა, რომ ცხოვრობდნენ ერთ პატარა ოთახში, მისი ადგილი იყო მაგიდის ქვეშ და თქვენ წარმოიდგინეთ, აი, ამ ტანჯულმა ადამიანმა მრავალი განსაცდელის მიუხედავად, მაინც ღირსეულად ატარა თავისი ჯვარი, არ დაკარგა არც რწმენა, არც სიყვარული ღვთისა და მოყვასის, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ვეღარ დადის წირვა-ლოცვაზე, ის მაინც ცდილობს, აკეთოს სიკეთე, ილოცოს და იმოღვაწოს სამშობლოსთვის...“**

ერთი წლის შემდეგაც, უკვე ჯანმრთელობაშერყეულ ქალბატონ ბაბოს „ბარბარობას“ მიულოცავს საქართველოს პატრიარქი და ქვემოთ სიყვარულით მიაწერს – **„სიონს ძალიან აკლია თქვენი თავი“.**

სოლოლაკის უბანში პატარა, უფანჯრო ბინაში, კედლებზე, მაგიდასა თუ ტახტის ქვეშ, ძველ საკვოიაუებსა და ჩემოდნებში ჩალაგებული ისტორიული რელიკვიები – ათეული წლების მანძილზე ტაბუდადებულ პიროვნებათა საოჯახო ფოტოები, ეპისტოლარული მემკვიდრეობა თუ ცალკეული, თვალისმომჭრელი პორტრეტები, ალბათ, უფრო ჭაღებით განათებული, სალონური დარბაზებისთვის იყო განკუთვნილი... ქართველი არისტოკრატები სოციალური კუთვნილებით თუ ფსიქოლოგიით, სულიერი წყობით თუ აზროვნების წესით გენეტიკურ სრულყოფილებამდე მისული ქართული ჯიშის უკანასკნელი წარმომადგენლები აღმოჩნდნენ...

ქალბატონი ბაბო დიდ თუ პატარა აუდიტორიაში პირად საუბრებსა თუ წერილებში დაუღალავად განმარტავდა, რომ ამ პიროვნებათა ადგილი მაღალ საზოგადოებაში არა მხოლოდ წარმომავლობით იყო განპირობებული, არამედ ურთიერთობის სტილით, კეთილშობილებით, მაღალი იდეალებისადმი ერთგულებით. წუხდა, რომ ძალიან შეიცვალა ქართველების ცხოვრების წესი, რომ დღეს ვეღარ ახერხებენ უსახურ ყოფაზე მაღლა დადგომას. გვიამბობდა მათი ბიოგრაფიის დეტალებს. „სადღა ნახავთო იმგვარ იერს და სტილს, რაც ასრერიგად ამშვენებდაო ტელემაქ გურიელს, გიორგი შარვაშიძეს, ჯანსუღ და თათარხან დადეშქელიანებს, ნიკო ბაგრატიონ-მუხრანსკის, ქაქუცა ჩოლოყაშვილს, გოგიტა ფაღავას, დიმიტრი ამილახვარს...“

პროლეტარიატის, მუშათა და გლეხთა სახელმწიფომ ისინი კლასობრივ მტრებად გამოაცხადა.

დიდი ისტორიული დრამის პერსონაჟები „ქართული რაინდობის მიმწუხრის შვილები“ პატრიარქალური ოჯახების სიმყუდროვეში თუ ბრძოლის ველზე, აშკარად გრძნობდნენ მათთვის არასასურველი დროების მოახლოებას.

* * *

1863 წლის გაზეთი „კავკაზი“ გვაუწყებდა, რომ მე-19 საუკუნის 40-იან წლებში მას შემდეგ, რაც დაგეროტიპის შექმნიდან სულ თხუთმეტიოდე წელი გავიდა, თბილისში მოღვაწეობდნენ ფოტოგრაფიული ხელოვნების მსოფლიოში განთქმული ოსტატები, კერნერი, ბარტი, კორნადი, გაუპტი...

პირველი მნიშვნელოვანი ფოტო-გამოფენა თბილისის კავკასიის მუზეუმში 1867 წლის 2 იანვარს გაიმართა. საქართველოს და ქართულ ტიპაუებს წარმოადგენდნენ უკვე „თბილისელებად“ მონათლული უცხოელი ფოტოგრაფები გოლშტეინი, ლ. დუბილერი, ე. ვესტლი და სხვ.

თბილისის ფოტო-სალონებში არჩევანის საშუალება გაჩნდა, ანუ ვისთან, როგორ, რა ფონზე და რომელი ფოტოგრაფის რეუისურით გადაეღოთ სურათები.

ფოტოგადაღებებმა ერთგვარი რიტუალური ხასიათიც მიიღო, როცა საზეიმოდ გამოწყობილი, ქართველობა ოჯახის წევრებთან ერთად სათანადო პოზირებით, შეძლებისდაგვარად აფიქსირებდა საკუთარ თავს.

ბაბო დადიანი

ფოტოგადაღება რომ არისტოკრატთა წრეში არცთუ უმნიშვნელო მოვლენად ითვლებოდა, ამაზე ილია ჭავჭავაძის ბარათიც მოწმობს მომავალი მეუღლისადმი, თავად თადეოზ გურამიშვილის ქალიშვილისადმი გაგზავნილი: „ოლიკო, შენი სურათები მივიღე. გადასაყრელია. შენ კი მარწმუნებდი, კარგად ვარ გამოსულიო. როგორ შეიძლება ვესტელთან სურათის გადაღება? იცი, რას გეტყვი? თუკი დამიჯერებ, შენ შეგიძლია კარგი სურათები შეიძინო რანესაგა,ნ წამოჰყვები ტროტუარს, მარჯვნივ, პირველ ალაყაფში შეხვალ, მერე იარე პირდაპირ და დუბილერის ფოტოგრაფიის კარს მიადგები... შენ ნახავ, როგორი პორტრეტი გამოვა“...

ქალბატონ ბაბო დადიანის იკონოთეკაში დაცული ფოტოები გადაღებულია თბილისში, სოხუმში, კონსტანტინოპოლში, პარიზში, სან-ფრანცისკოში, ლონდონში...

დადიან-შარვაშიძეთა საოჯახო საგა უკავშირდება ეპოქის ყველაზე მნიშვნელოვან თარიღებს. შესაბამისად, მათ ფოტოებში აღბეჭდილია დროის ნიშნებიც. იკონოთეკის ექსპონატები გამოხატავს ძნელბედობის პერიოდში სხვადასხვა მხარეს გაფანტულ ქართული არისტოკრატიის გენოტიპებს, რომელთა შესახებაც ლადო გუდიაშვილი წერდა: „ისინი ფოტოებიდან გვიმზერენ, როგორც ქტიტორები კედლის მხატვრობის ფრესკებიდან“.

მათი ინდივიდუალობა და ხიბლი არა ერთი ლიტერატურული პასაჟის წარმოშობის საბაბი გახდა.

1918 წელს გაზეთ „საქართველოს“ პირველი მარტის ნომერში, „გივი გოლდენის“ ფსევდონიმით დაბეჭდილია გრიგოლ რობაქიძის ესსე, მიძღვნილი ცნობილი საზოგადო მოღვაწის, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ შარვაშიძის ვაჟის გიორგი შარვაშიძისადმი: „მთელი საუკუნეებია საჭირო, რომ ბიოლოგიურმა შერჩევამ ასეთი სრული ტიპი წარმოშობოს. მისი უბრალო მიმოხვრაც მოწმობს, რომ მის გვარში ასი წლობით ყოფილა შეუცნობელი ფიქრი ბიოლოგიური რჩეულობისა... მისთვის ყველა საკითხი მნიშვნელოვანია, თუ მას სილამაზე ახლავს. ნამდვილი არისტოკრატია (ამ სიტყვის რჩეული მნიშვნელობით).

მესამე დღეს იმავ რესტორნის ფარდულში ვნახე, ხოლო ეხლა უბრალო, მწვანე „ბლუზით“, მაგრამ ესეც რომ უხდებოდა! არა, ნამდვილი არისტოკრატობა ყველგან გამოჩნდება.

ამ დღეებში ამბავი მოვიდა მისი სიკვდილის – მოგვშორდა ქართული რასის ნამდვილი ვაჟი“.

რუსი ოფიცერი, ფრანგული გვარით ტორნაუ, რომელიც დასავლეთ კავკასიის მთიელებთან რუსეთის ხელისუფლების საიდუმლო დავალებით მუშაობდა. ჩანაწერებში 180 წლის ამბებს იგონებს და აფხაზეთის უკანასკნელ მთავარს მიხეილ შარვაშიძეს განსაკუთრებული სიმპატიით მოიხსენიებს. შთაბეჭდილება იქმნება, რომ რუს ოფიცერს თავად შარვაშიძის გარეგნული ბრწყინვალეებით და პიროვნულობით მოხიბლულს, თავისი სამსახურებრივი მოვალეობა გადაავიწყდა: „მიხეილ შარვაშიძე მაშინ იყო ოცდაოთხი წლის ლამაზი ჭაბუკი, ღონიერი, საუცხოოდ ხმარობდა იარაღს. უბადლო ცხენოსანი, არასოდეს უშინდებოდა საფრთხეს... მიხეილს ესმოდა თავისი ხალხის ყოველდღიური გასაჭირი, ამ ოცდაოთხი წლის ყმაწვილს უნარი ჰქონდა მორჩილებაში ჰყოლოდა ყველა, ვისაც მოისურვებდა. რუსეთის მიმართ თავი ეჭირა შესაფერისად: არც განსაკუთრებული ამპარტავნობით, არც პირფერობით. ჩვენს მოთხოვნებს მხოლოდ იმ შემთხვევაში ასრულებდა, თუ აფხაზეთის ინტერესებს არ ეწინააღმდეგებოდა.

„ის იყო მნიშვნელოვანი პიროვნება, – ვერ მალავდა ანტიქართულად განწყობილი რუსი მოხელე და ლიტერატორი ბოროზდინი, – ჰქონდა დიდი გავლენა დასავლეთ კავკასიის მთებში... მაღალი ტანის, წერწეტა, სახის სწორი ნაკვთებით, არწივისებური პროფილით, შავი, გამჭრიახი თვალებით... თავი ეჭირა არაჩვეულებრივი ღირსებით“...

* * *

„ვწუხვარ, ერთს კიდევ ვერ გნახავთ, ისე მივდივართ პარიუში. იმედი მაქვს იქაც არ დამივიწყებთ... ჩვენ ვაპირებთ 24 ამ თვისას გამგზავრებას ფრანციაში“... – წერილის ბოლოს დადიანების ღერბიან ქაღალდზე საუკუნის წინათ ხელს აწერს პრინცესა სალომე დადიანი...

ქართული არისტოკრატია მაღალი სტილის დემონსტრირებისთვის ძირითადად „პარიუს“ ირჩევდა.

ეს ქალაქი ჩვენი ცნობიერებისთვის უკიდურესი დახვეწილობის და ამავე დროს, ყველაზე თანამედროვე განწყობილებების ავტონომიად რჩებოდა.

სიტყვა „პარიუი“ ქართველისთვის არა მხოლოდ საფრანგეთის დედაქალაქად, არამედ, ზოგადად, ესთეტიზმის ქვეყნად, ერთდროულად ახლობელ და შორეულ სუბსტანციად აღიქმებოდა...

„საქართველოს მერე უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი“... – ქართული ლიტერატურული მოდერნის დეკლარაციებშიც წერდა პაოლო იაშვილი...

1921 წლის მარტიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამარცხებული მთავრობა და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, ნაცნობი მარშრუტით: „თბილისი-ბათუმი-სტამბული-მარსელი“, პარიზში გაიხიზნა... რა თქმა უნდა, უკან დაბრუნების იმედით...


გიორგი შარვაშიძე

გახიზნულთ, როგორც ოფიციალურ დელეგაციას, საფრანგეთში არ შეხვედრიან, რაც მათი ოდენ ლტოლვილობის სტატუსის აღიარებას ნიშნავდა.

სრულიად საქართველოს აჯანყებებს „ხალხის მტრების“, ანუ ემიგრანტების ინსპირირებულად თვლიდნენ, ხოლო 30-იან წლებში, მხოლოდ იმიტომ, რომ მათი შთამომავლები იყვნენ, უცხოეთში წასულია, ოჯახის წევრებს გაუსამართლებლად ხვრეტდნენ ან შუა აზიასა და ციმბირში ასახლებდნენ, მათ შორის აღმოჩნდა ქალბატონი ბაბო დადიანიც.

ქართული ემიგრაცია მიმართავდა ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, პოლონეთის, იუგოსლავიის და სხვა ქვეყნების მთავრობებს, წერდა ერთა ლიგაში გასაგზავნ მემორანდუმებს, მათ ზოგჯერ თანაუგრძნობდნენ, მაგრამ არ ცნობდნენ, როგორც რუსეთის მიერ ანექსირებულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

„ჩვენი ემიგრაციის ტანჯული ისტორია იმის მაგალითია, – უთქვამს 1924 წლის აჯანყების ყოფილ მონაწილეს, ოთხმოცი წლის ლევან ფაღავას, – რომ საქართველომ არასოდეს და არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქონიოს სხვათა დახმარების იმედი“.

ერთა ლიგამ საქართველოს ბედი რუსეთის პრობლემათა შორის დაასახელა, ხოლო, რაც შეეხება ქართველი ემიგრანტების ისტორიულ სამშობლოს, არსებული ოფიციოზი ერთმნიშვნელოვნად ებრძოდა მათ.

ყველას, ვინც წავიდა, ანუ ვინც „ფრანციაში“ გაემგზავრა, სერგო ორჯონიკიძემ „ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციური ბანდა“ უწოდა.

საბჭოთა საქართველოში ქართველ ემიგრანტთა სახელების ხსენება ოფიციალურად და არაოფიციალურად აიკრძალა.

„ქართველი ემიგრანტების საფლავები გაფანტულია, – წერს თამარ პაპავა, – მაგრამ მათი სულიერი აკლდამა, მაინც ერთია... ის აკავშირებს ამ გაბნეულთ, ფარავს ერთი ქართული გუმბათით“...

ნინო ხოფერია

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №8

ჰემინგუეის პრემია რაულ ჩილაჩავას

„უფრო სიხარულობს შენი სიხარული ჩვენ რომ ვიზიარებთ, თქვენ რომ იზიარებთ“!

უკრაინაში მცხოვრები ქართველი პოეტი, მეცნიერი და დიპლომატი რაულ ჩილაჩავა 2017 წლის ერნსტ ჰემინგუეის სახელობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი გახდა. პრემიის დამფუძნებელია ცნობილი კანადური გამომცემლობა „itsvet“. პრემია ჩვენს თანამემამულეს მიენიჭა ნომინაციაში „ქვეყნები და კონტინენტები. შემოქმედებისთვის, რომელიც ერებს აერთიანებს“. ეს რაულ ჩილაჩავას მეთორმეტე პრემიაა.

რაულ შალვას ძე ჩილაჩავა დაიბადა 1948 წლის 15 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარში, ექიმის ოჯახში. იზრდებოდა იმავე რაიონის სოფელ ძველ აბასთუმანში, სადაც 1965 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა. 1965-1970 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტი. 1967 წელს უკრაინული ენისა და ლიტერატურის შესასწავლად მიავლინეს კიევში. 1970 წელს წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტიც და სტაჟირებაც. მას შემდეგ ცხოვრობს და მოღვაწეობს კიევში.

მუშაობდა უკრაინულ პრესაში ჟურნალისტად, უნივერსიტეტის ლექტორად. 1992 წლიდან 2005 წლამდე ეკავა უკრაინის ეროვნებებისა და მიგრაციის საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა. პარალელურად უკრაინის დედაქალაქის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას, იყო კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი, კიევის კულტურისა და ხელოვნების ხელმძღვანელ კადრთა სახელმწიფო აკადემიის უკრაინული და მსოფლიო ლიტერატურის კათედრის გამგე, უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ლატვიაში (2005-2010). ამჟამად კვლავ შემოქმედებით სამუშაოზეა.

არის საქართველოს, უკრაინისა და ლატვიის მწერალთა კავშირების წევრი, უკრაინის თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის წევრი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის (უცხოელი) წევრი, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორი, უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, გალაკტიონ ტაბიძის, გრიგორი სკოვოროდას, ნიკოლაი გოგოლის, მიკოლა კულიშის, მაქსიმ რილსკის, ვლადიმერ ვინიჩენკოს, ალექსანდრე ჩაკის, მავრიკ ვულფსონის სახელობის პრემიების ლაურეატი, ფრანც კაფკას სახელობის საერთაშორისო ოქროს მედლისა და ციცერონის სახელობის საერთაშორისო პრიზის მფლობელი; დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“ (საქართველო), ორდენით „დამსახურებისათვის“ (უკრაინა), „სამი ვარსკვლავის“ ორდენით (ლატვია), უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სტანისლავის სახელობის საერთაშორისო ორდენებით „კომანდორის ჯვარი“ და „ოფიცრის ჯვარი“, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, უკრაინის უზენაესი რადის საპატიო სიგელით „უკრაინელი ერის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის“, მედლით „ქართული კულტურის ამაგდარი“ და სხვა.

რაულ ჩილაჩავას შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტერესების სფეროში შედის პოეზია, მხატვრული თარგმანი, ესეისტიკა, პუბლიცისტიკა, კომპარატივისტიკა, ლიტერატურის თეორია, ქართულ-უკრაინულ-ლატვიური ურთიერთობანი. წერს და თარგმნის სამ ენაზე — ქართულად, უკრაინულად, რუსულად. არის ასოცზე მეტი საკუთარი და ნათარგმნი წიგნისა და პრესაში გამოქვეყნებული ასობით პუბლიკაციის ავტორი.

გულითადად ვულოცავთ ქართველი ხალხის საამაყო შვილს აღიარებას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ.

უფალი გფარავდეთ, ბატონო რაულ!

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია

საქართველო მსოფლიოს 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადისთვის ემზადება

2018 წელს საქართველო მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადას მასპინძლობს. ტურნირი ბათუმში 23 სექტემბიდან — 6 ოქტომბრის ჩათვლით გაიმართება და მასში 180-ზე მეტი ქვეყნის 4 000-მდე მოჭადრაკე და ოფიციალური პირი მიიღებს მონაწილეობას.

საჭადრაკო ოლიმპიადის ჩასატარებლად სამთავრობო კომისია, შემდეგ კი საორგანიზაციო კომიტეტი შეიქმნება. მანამდე კი ბათუმში საქართველოს მთავრობის წევრებისა და ფიდეს (მსოფლიო საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია) ოფიციალური დელეგაციის სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

ბათუმს კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, მინისტრის მოადგილეები კახა კანდელაკი და შალვა გოგოლაძე, ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე და ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი ეწვივნენ.

ფიდეს დელეგაციას ფიდეს პირველი ვიცე-პრეზიდენტი, ფიდეს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი გეორგიუს მაკროპულოსი (საბერძნეთი) ხელმძღვანელობს. დელეგაციის წევრები ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი ისრაელ გელფერი (ისრაელი), ფიდეს აღმასრულებელი დირექტორი ჯეფრი ბორგი (მალტა) და ექსპერტი მოშე სლავი (ისრაელი) არიან.

აჭარის მთავობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძესთან გამართული შეხვედრის შემდეგ მხარეებმა ის სპორტული ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს, სადაც საჭადრაკო ოლიმპიადის ჩატარება იგეგმება. შეხვედრას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი რამაზ ბოლქვაძე და აჭარის განათლების კულტურისა და სპორტის მინისტრი ინგა შამილიშვილი ესწრებოდნენ.

ტურნირის პარალელურად ფიდეს კონგრესი, მსოფლიო საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციისა და ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტების არჩევნები გაიმართება.

ოლიმპიადის გამართვის პირველი, ცენტრალური ლოკაცია ბათუმის ორდარბაზიანი მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსია. სასახლის ორი დარბაზიდან დიდი 2 500, ხოლო პატარა 600 სტუმარზეა გათვლილი. პროექტი „სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის“ ფარგლებში ხორციელდება და საქართველოში სამი მულტიფუნქციური სპორტის სასახლის მშენებლობას ითვალისწინებს.

ხოლო მეორე ტერიტორიად დახურული ყინულის არენისა და საცურაო აუზის სპორტული კომპლექსი შეირჩა, რომლის მშენებლობას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ახორციელებს. კომპლექსის საორიენტაციო სამშენებლო ფართობი 16 000 m^2-ია (ფართობი დაზუსტდება პროექტირებისას), მათ შორის ყინულის არენა — 10500 კვ.მ, ხოლო საცურაო აუზი — 5500 კვ.მ.

◎ ძველისა და ახლის პარალელები

ლხინი ანაგაში

თქმული ტელეჟურნალისტიკაში ჩემი საამაყო კოლეგის, ამჟამად კი უკვე ცნობილი პოეტის, ქალბატონ მაყვალა გონაშვილისათვის იმის შესახსენებლად ,რომ მისმა ლეგენდარულმა სახლიკაცმა „წინ წყარო“ მომიძღვნა, რაკი ჩემს სატელევიზიო გადაცემას სახელად შევურჩიე „ვენდოთ ანაგელებს“ და სუფრაზე რაიკომის მდივანს თამაზ ქევხიშვილს კი არ წავყევი, არამედ ჰამლეტთან და თავის მეზობლებთან დავრჩი.



იმ ნათელ დღეებს ჰგავს თუ არა ჰგავს,
მოგონებებმა გადმოალაგა,
როდის და რატომ ვენდე ანაგას,
ან რად შევყევი ჰამლეტ გონაშვილს
ქიზიყის ლამაზ შემოდგომაში.
მახსოვს, გახურდა სუფრა კახური
და დადგა წუთი გადანახული
ანაგურით და კარდანახულით!..
— სიტყვის თქმასთან ხარ ცოტა „ხამადა“,
ჰამლეტ, სიმღერა გვინდა ამადა! —
ვაქირ -კახურად ბრძანა თამადამ!
— გვიმღერე! სხვებმაც სთხოვეს ჰამლეტს და
მისმა პასუხმა წამსვე ამლეწა.
სუფრის და ლხინის მევრჯერ მნახველებს,
უთხრა ჰამლეტმა მეინახეებს:
— „რადგან ანაგა ჩემი ჭერია,
ვისაც გულები ხელში სჭერია,
სიმღერის თხოვნა მისი ჯერია!“
— ის განდიდებას არასდროს ნატრობს,
უარი კადრა ქიზიყის პატრონს
და, იცით, რატომ?
სთხოვა: „ სიღნაღში ვიპურმარილოთ,
იქ ჭიქა ღვინოს წავუქცევთ ილოს ,
წამოდი ჩვენთან, არ გადავარო!“
მე კი მივუგე: „ამ ანაგელებს
სიტყვა მივეც და... ვერ გადავალო“.
...„ის ნდობს ანაგას,
ჩვენ ვნდობთ მის „ზარებს“,
ქვეყანას დღესაც რომ აზანზარებს,
ვიმღერებ, რასაც იგი მიბრძანებს!“
...იმ წუთის შემდეგ სხვა რა ვიწამო,
ჩემი თხოვნით რომ თავის „წინ წყარო“
ჰამლეტმა ყელზე შემომახვია!.
მას მერე დღემდე თვალი სველია;
მსგავსი არასდროს მომისმენია,
არც მიგვრძნია, არც დამინახია!
...ეს იყო მაშინ,
(წლებს განგებ არ ვთვლი),
როს წელიწადი 90
გადაუხადეს ილო მოსაშვილს,
ბოდბეში — წმიდა ნინოს მმოსავში! ..
რად გამახსენდა?
გეტყვი მაყვალა:
უჯიგროების მომკლა ყაყანმა
და ყალბმა ხმებმა ისე დამღალა,
რომ არავისი არ მწამს აღარა!
თუმცა კრძალვით თუ შენს წიგნს გადავშლი,
თავს ვგრძნობ ჰამლეტის უტკბეს ბადაგში...
ქალი ხარ, მაგრამ ვიცით მე და შენ,
რისი გემო აქვს ნამდვილ ზედაშეს!
ჰოდა, ისე ვით ალაზნის ველი,
როდესაც დგება ახალი წელი,
ჰამლეტისეულ „წინ წყაროს“ ველი!

ალექსანდრე შენგელია
ქუთაისი.

ᲒᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲮᲣᲠᲩᲐᲨᲘ ᲛᲐᲕᲗᲣᲚᲮᲚᲐᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲜᲐ

ᲒᲐᲚᲨᲘ „ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის“ ფარგლებში რიგით 52-ე შეხვედრა გაიმართა. ენგურის ხიდზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ᲙᲐᲮᲐᲑᲔᲠ ᲥᲔᲛᲝᲙᲚᲘᲫᲔᲛ ჟურნალისტების კითხვის პასუხად მოკლედ ისაუბრა სოფელ ხურჩაში რუსი სამხედროების მიერ მავთულხლართების აღებაზე. ქემოკლიძის განმარტებით, ეს ის საკითხია, რომელსაც გალის შეხვედრებზე აქტიურად განიხილავენ.

„გალის შეხვედრებზე ჩვენ ყოველთვის ვაფიქსირებთ ჩვენს პოზიციას, რომ ამ საკითხს აქვს ორი განზომილება. ეს არის უსაფრთხოების და ჰუმანიტარულ ჭრილში არსებული განზომილებები. ჩვენთვის ორივე პრობლემატურია — ჰუმანიტარული იმ კუთხით, რომ ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რომელიც საოკუპაციო ხაზის ორივე მხარეს ცხოვრობს, არის ძალიან დიდი პრობლემების შემქნელი, წმინდა პრაქტიკული პრობლემების, ხოლო უსაფრთხოების კუთხეს რაც შეეხება, როდესაც რუსეთის სამხედროები საოკუპაციო ხაზზე მსგავსი ტიპის ინსტალაციებს ამონტაჟებენ, ცხადია, ეს არის გარკვეულწილად საფრთხის შემცველი, იმიტომ რომ ეს არის საოკუპაციო ზოლი და ძალიან მგრძნობიარე არეალი“.

გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის მოსაზღვრე ზუგდიდის სოფელ ხურჩაში რუსმა სამხედროებმა ორ ჰექტარამდე მიწის ნაკვეთი შარშან აპრილში ბოძებით მონიშნეს, აგვისტოში კი მავთულხლართები შემოავლეს. შედეგად ორი ხურჩელის, ომარ მიქაუტაძისა და არველოდ ნაჭყებიას, 2 ჰექტარამდე მიწის ნაკვეთი ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა. მას შემდეგ მათ საკუთარ ყანაში მუშაობა აეკრძალათ.

რადიო „თავისუფლებას“ ერთ-ერთი ნაკვეთის მესაკუთრის ომარ მიქაუტაძის შვილმა ირინა მიქაუტაძემ, განუცხადა, რომ ბოძებისა და მავთულხლართების დაშლის პროცესი დე ფაქტო რესპუბლიკის სამხედროებმა დაახლოებით ერთი კვირის წინ დაიწყეს. მიუხედავად რკინის ბარიერის მოხსნისა, ოჯახი უსაფრთხოების გარანტიის უქონლობის გამო ჯერ კიდევ ვერ ბედავს საკუთარ ნაკვეთზე შესვლას: **„ბოძები აყრილია. მგონი, იქეთ გადასწიეს საზღვარი და ჩვენი რაც მიწა იყო, აქეთ დატოვეს. ჩემებს ეშინიათ და შორიდან თუ ნახეს, თორემ ჯერჯერობით ახლოს მისვლის გვეშინია...“**

თავის მხრივ, სუსის ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე აცხადებს, რომ ე.წ. უკანონო ბორდერიზაციის პრობლემაზე მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება და საკითხი განიხილება სხვადასხვა ფორმატის შეხვედრაზე — ყველგან, სადაც კი იქნება ამის შესაძლებლობა.

გარდა ბორდერიზაციისა, გალში ერთ-ერთი მთავარი საკითხი, წინა შეხვედრების მსგავსად, 2016 წლის 19 მაისს აფხაზეთის საოკუპაციო ხაზთან მოკლული გიგა ოთხოზორიას საქმე იყო. კახაბერ ქემოკლიძემ განაცხადა, რომ ამ დრომდე არ არის მიღწეული შეთანხმება დე ფაქტო ხელისუფლებასთან მკვლელობაში ბრალდებული რაშიდ კანჯიოღლის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისთვის გადმოცემაზე. მანვე კომენტარი გააკეთა ოთხოზორიას საქმეზე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სარჩელზე რუსეთის წინააღმდეგ, რომლითაც ორგანიზაციამ 11 იანვარს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა:

„უსაფრთხოების სამსახური, ისევე როგორც მთლიანად ცენტრალური მთავრობა, გააკეთებს ყველაფერს, რომ მკვლელი იქნეს გასამართლებული ქართული კანონმდებლობით. რაც შეეხება საიას სარჩელს, მოგეხსენებათ, საია არის დამოუკიდებელი ოჯახისგან და ეს არის დამოუკიდებელი ცალკე ხაზი ამ პროცესში. არასამთავრობო ორგანიზაცია და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მათი ქმედება შეთანხმებულია“.

კახაბერ ქემოკლიძემ აღნიშნა ასევე, რომ შეხვედრაზე განიხილეს სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც, მათ შორის დრანდის ციხეში მყოფი ე.წ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით გასული წლის აპრილში დაკავებული პაატა როგავას საქმე. მისი თქმით, პატიმრის გასათავისუფლებლად მუშაობა აქტიურად გაგრძელდება.

გალში „ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის“ მორიგი შეხვედრა 27 თებერვალს ჩაინიშნა.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲐᲘᲐ

◎ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ

ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲓᲐ ᲧᲐᲖᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲒᲐᲔᲠᲝᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ აქტიურ მონაწილეობას იღებს ავღანეთის უსაფრთხოების ხელშეწყობის საერთაშორისო მისიაში (ISAF), რაც, ყველა სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით, ძალზე არაპოპულარულია ხალხში. ეს გასაგებიცაა, რადგან ავღანეთში საზარბაზნე ხორცის სტატუსით გაგზავნილი ქართველი ჯარისკაცები უაზროდ იხოცებიან. ქართველი ჯარისკაცის შენახვა ნატოს ათჯერ და კიდევ უფრო ნაკლები უჯდება, ვიდრე ამერიკელი ან ევროპელი ჯარისკაცისა. მეტიც, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი წელიწადში 40 მილიონ ლარს ითვალისწინებს საერთაშორისო „სამშვიდობო“ მისიების თანადაფინანსებისათვის. სანაცვლოდ საქართველო თავისი მთავრობის წევრებისათვის მეგობრულად მხარზე ხელის დატყაპუნებას იღებს, დასავლელი პოლიტიკოსების მხრიდან, რომლებიც ასევე არ იშურებენ კეთილ სიტყვებს საქართველოს მიმართ. მაგრამ ეს ყველაფერი სიტყვებია ოდენ და არა საქმე, საქმით საქართველოს არავინ ეხმარება — ყოველ შემთხვევაში, შედეგი არ ჩანს.

საერთაშორისო საზოგადოებრიობა, დღეის მდგომარეობით, თავისი ნებით ჩამოშორდა ავღანეთის პრობლემების მოგვარებას. გაეროს მისია მეტად დამთრგუნველ სტატისტიკას ფლობს — 2017 წლის მანძილზე ავღანეთის მშვიდობიან მოსახლეობაში რეკორდული რაოდენობის მსხვერპლია — თითქმის 18 ათასი ადამიანი. 2001 წლიდან მოყოლებული, როდესაც ამერიკელებმა დაიწყეს საომარი მოქმედებები, ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ბუნებრივია, რომ ამ ქვეყანაში ვითარების დამძიმება საფრთხეს აძლიერებს ქართველი სამხედროებისთვის, რომლებიც თავიანთ მოვალეობას ასრულებენ, მაგრამ, ამავე დროს, ავღანელ ხალხს თავისთან არ დაუპატიჟია.

ამ ფონზე გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეობას ერთი წლის მანძილზე იბარებს ყაზახეთი — მშვიდობისმოყვარე და თან ტერორიზმთან დაუნდობლად მებრძოლი სახელმწიფო, რთულ კონფლიქტებში შუამავლობის გამოცდილებით, თუნდაც სირიის გარშემო ასტანაში წარმოებული მრავალმხრივი მოლაპარაკებები გავიხსენოთ. ყაზახეთმა წარმატებით გადალახა ნავთობის ფასების გლობალური კლებით გამოწვეული პრობლემები და ამ კრიზისიდან კიდევ უფრო გაძლიერებული გამოვიდა, რასაც ცხადჰყოფს გასული წლის მაკროეკონომიკური და სოციალური მაჩვენებლები. ახლა კი ეს სახელმწიფო, გაეროს უშიშროების საბჭოს არამუდმივი წევრი და თავმჯდომარე, ავღანეთის მიმართ მსოფლიო საზოგადოების პოლიტიკის გააქტიურებას აპირებს. ავღანეთის საკითხი ერთ-ერთი მთავარი თემა იქნება ვაშინგტონში აშშ პრეზიდენტ ტრამპისა და ყაზახეთის პრეზიდენტ ნაზარბაევის შეხვედრაზე, რომელიც 18 იანვარს არის დაგეგმილი. ნაზარბაევი ერთ-ერთი იშვიათი უცხოელი სტუმარია, რომელსაც ტრამპი თავისი თითქმის ერთწლიანი მმართველობის პერიოდში პირადად მიიღებს. თეთრი სახლი აპირებს, უახლოეს მომავალში შეიმუშაოს ახალი სტრატეგია ავღანეთის მიმართ, თუმცა ეს დოკუმენტი ჯერ არ გახმიანებულა. ავღანეთის საკითხს ამერიკისთვის შიდაპოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს და აქტიური დისკუსიის საგანია. აშკარაა, რომ აშშ ანგარიშს უწევს ყაზახეთის ლიდერის შეხედულებებს და გაითვალისწინებს მათ თავის პოლიტიკაში. ცნობილი ყაზახელი პოლიტოლოგი ერლან კარინი მასმედიასთან საუბარში ამბობს: „ავღანეთის პრობლემატიკა ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე მხედველობის არედან გაქრა. ფაქტია, რომ გაუთავებლად ხდება არჩევნების თარიღის გადაწევა, მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი იზრდება. ამიტომ ვფიქრობ, რომ ნაზარბაევის ვიზიტი ამერიკაში დღის წესრიგში დააბრუნებს ავღანურ პრობლემატიკას. ჩვენთვის, როგორც შუა აზიის რეგიონის ქვეყნისათვის, სადაც ავღანეთი მდებარეობს, ეს ძალზე მნიშვნელოვანია“.

ყაზახეთი, ყველაფერთან ერთად, გაეროში ავღანეთის კომიტეტსაც თავმჯდომარეობს და განხილვებს უწევს მოდერაციას, ამიტომ მოსალოდნელია, რომ მალე ასტანიდან წამოსულ კონკრეტულ შემოთავაზებებს იხილავს მსოფლიო საზოგადოებრიობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავღანეთის გარშემო მოლაპარაკებები, ახლო მომავალში, ასევე რუსეთის პრეზიდენტ პუტინსა და ნაზარბაევს შორის გაიმართება. შეხვედრის თარიღი დაზუსტების პროცესშია.

გარდა ავღანეთის საკითხისა, ნაზარბაევის ვიზიტი ამერიკაში მნიშვნელოვანი იქნება სხვა თვალსაზრისითაც, კერძოდ, ყაზახეთის ლიდერი მონაწილეობას მიიღებს უშიშროების საბჭოს დებატებში, მასობრივი განადგურების შეიარაღების გაუვრცელებლობის თემაზე.

ყაზახეთმა უკვე წარმოადგინა უშიშროების საბჭოს მოღვაწეობის პროგრამა მიმდინარე წლისათვის. უკვე იანვარში დაიწყება ყოველკვარტალური ღია განხილვები თემაზე „ვითარება ახლო აღმოსავლეთში, პალესტინის საკითხის ჩათვლით“, იერუსალიმის სტატუსის პრობლემა, შემდგომ — სირიის, ლიბიის, კონგოს, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის, დარფურის, დასავლეთ აფრიკის, მალის, სომალის, მიანმის, კიპროსის და კოლუმბიის შიდა კონფლიქტები იქნება განხილული. უდიდეს მნიშვნელობას იძენს ჩრდილოეთ კორეასთან დაკავშირებული საკითხები. ყაზახეთი ამ ურთულეს პრობლემასთან მიმართებაშიც შეეცდება, დაიკავოს ბალანსი და ხელი შეუწყოს მშვიდობის შენარჩუნებას.

პრეზიდენტ ნაზარბაევის მიერ დასახულ პრიორიტეტებში აგრეთვე წარმოდგენილია „მწვანე ტექნოლოგიების“ განვითარება, მასობრივი განადგურების შეიარაღებების გაუვრცელებლობა, ჰუმანიტარული პრობლემების მოგვარება კონფლიქტის ზონებში და სხვ. ყაზახეთის მიერ წარმოდგენილმა დღის წესრიგმა გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს შორის მხარდაჭერა ჰპოვა. რუსეთის მუდმივმა წარმომადგენელმა ამ ორგანიზაციაში ვასილი ნებენზიამ გამოხატა იმის მტკიცე რწმენა, რომ ყაზახეთის დელეგაციის საქმიანობა გაეროს უშიშროების საბჭოში წარმატებული იქნება. აშშ მუდმივმა წარმომადგენელმა ნიკი ჰეილიმ და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებმაც მოწონება და თავიანთი დადებითი დამოკიდებულება გამოხატეს ყაზახური ინიციატივების მიმართ. ყაზახეთი მტკიცედ ადგას გაეროში მრავალვექტორიანი სამშვიდობო დიალოგის წარმოების გზას. გაეროში ყაზახეთის მუდმივი წარმომადგენელი კაირატ უმაროვი ამ გარემოებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

კიდევ ერთი, საინტერესო ინიციატივა, რომელიც ყაზახეთმა წამოაყენა გაეროს უშიშროების საბჭოში და, ალბათ, ტრადიციად დამკვიდრდება, გახლავთ უშიშროების საბჭოში არჩეული არამუდმივი წევრების სახელმწიფო დროშების აღმართვის ცერემონიის გამართვა. ამჟამად აღიმართა ყაზახეთის, ნიდერლანდების, კუვეიტის, კოტ დ'ივუარის, პოლონეთის, პერუსა და ეკვატორიული გვინეის სახელმწიფო დროშები. სხვადასხვა სახელმწიფოთა დელეგაციებს ურთიერთობის ეს ახალი ფორმა ფრიად მოეწონათ და მას „შესანიშნავი საავიზიტო ბარათი“ უწოდეს.

ᲒᲣᲚᲑᲐᲐᲗ ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ

გზა დიდი მეცნიერებისკენ!

ქართველი გამომგონებლების მიერ შექმნილი ინოვაციური პროდუქტები

თანამედროვე მსოფლიო გამოგონებების გარეშე წარმოუდგენელია. შესაძლოა, ვფიქრობდეთ, რომ ყველაფერი, რისი გამოგონებაც კაცობრიობას შეეძლო, უკვე არსებობს, თუმცა მაინც ვხვდებით ინოვაციურ პროდუქტებს, რომლებიც მულტიფუნქციურობითა და მაღალი მოთხოვნით გამოირჩევა ტექნოლოგიების ბაზარზე. საბედნიეროდ, ამ კუთხით არც ქართველი გამომგონებლები არიან გამონაკლისები. განსაკუთრებით ბოლო პერიოდში გამძაფრდა ახალგაზრდების ინტერესი გამომგონებლობისა და ახალი ტექნოლოგიების შექმნის მიმართ. ამ რეალობამდე კი იმ სამთავრობო პროექტებმაც მიგვიყვანა, რომელთა მიზანიც ახალგაზრდა ნიჭიერი გამომგონებლების აღმოჩენაა. ეს პროექტებია: „მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი“, „სტარტაპ-საქართველო“ და „ჰაკათონი“.

გთავაზობთ ქართველი გამომგონებლების მიერ შექმნილ ინოვაციურ პროდუქტებს, რომლებმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს.

„CNICK“ – ჭკვიანი ბეჭედი

ქართველი სტუდენტების მიერ შექმნილი ხის ჭკვიანი ბეჭედი „კნიკი“ საფულის დანიშნულებასაც ითავსებს და მეპატრონის სამედიცინო ინფორმაციასაც ინახავს. იგი პროექტ „სტარტაპ-საქართველოს“ ერთ-ერთი გამარჯვებულია და საზოგადოებამაც სწორედ ამ კონკურსის დახმარებით გაიცნო. გაყიდვაში 2017 წლის აპრილიდან ჩაეშვა და დღეს მისი შეძენა „ამაზონ.კომ“-ზეც შესაძლებელია. ბეჭდის მთავარი დანიშნულება იდენტიფიკაციაა, რათა სხვადასხვა დაწესებულებებსა და სისტემებს მივაწოდოთ ჩვენ შესახებ ინფორმაცია. მისი გამოყენება შესაძლებელია კინოთეატრებსა და ფიტნეს ცენტრებშიც. გარდა ამისა, ექიმებს შეეძლებათ პაციენტის პირველადი სამედიცინო ისტორიის მომენტალურად მიღება. უნდა აღინიშნოს, რომ ბეჭედში არსებული ინფორმაცია საკმაოდ დაცულია. პირველად სამედიცინო ინფორმაციაზე წვდომა მხოლოდ სამედიცინო პერსონალს აქვს, სხვა მონაცემები კი უსაფრთხოების იმაზე მაღალ დონეს ითვალისწინებს, ვიდრე ჩვეულებრივი საშვების ან ბილეთების შემთხვევაშია ხოლმე.

„INGLOVE“ – ინტერაქტიული ხელთათმანი

ინტერაქტიული ხელთათმანის იდეა ეკუთვნის დიმიტრი ცხოვრებაძეს, რომელმაც თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად, პროექტ „ჰაკათონის“ ფარგლებში შეძლო პირველი პროტოტიპის შექმნა. ხელთათმანის დახმარებით შესაძლებელია ვირტუალურ სამყაროსთან კავშირის დამყარება და ფიზიკურად შეგრძნება იმ ნივთებისა, რომლებსაც ვირტუალურ სამყაროში ვეხებით. პროდუქტი ძირითადად, კომპიუტერული თამაშების მოყვარულებზეა გათვლილი, თუმცა მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც მედიცინის, ისე სამხედრო სფეროში. მედიცინის შემთხვევაში ხელთათმანი დაგვეხმარება, რომ უშუალოდ ვმართოთ რობოტები, რომლებიც ქირურგიულ ოპერაციებს ასრულებენ, ხოლო სამხედრო კუთხით იგი გამოსადეგია სხვადასხვა წვრთნის ჩასატარებლად. აღნიშნულმა პროექტმა გამარჯვება მოიპოვა გერმანიაში, ქალაქ ბრემენში ჩატარებულ საერთაშორისო სტუდენტური სტარტაპების კონკურსზე, რის შემდეგაც ინოვაციური ხელთათმანით მრავალი კომპანია დაინტერესდა.

„HAND4HELP“ – ხელის პროთეზი

„HAND4HELP“ წარმოადგენს მაღალტექნოლოგიური, მრავალფუნქციური ხელის პროთეზს, რომელიც ადამიანის ნერვული დაბოლოებების დახმარებით ფუნქციონირებს. მისი წარმოების იდეა გიორგი დიღმელაშვილს ეკუთვნის. მომხმარებელს შეუძლია თავად აირჩიოს, როგორც პროთეზის ვიზუალური მხარე, ისე მისი დამატებითი ფუნქციები. პროთეზის ინოვაციურობა იმაში მდგომარეობს, რომ უკვე არსებული პროთეზების ფუნქციონირებისთვის საჭიროა ადამიანის ხელის კიდურს 3 კუნთის მოძრაობა მაინც შეეძლოს, ხოლო აღნიშნული პროთეზი მხოლოდ 1 კუნთით იმართება. იგი მოსახერხებელია ისეთი ადამიანებისთვის, რომლებსაც მაგალითად, მხოლოდ მაჯა აკლიათ და ტრადიციული პროთეზები ვერ უზრუნველყოფენ დახმარებას. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ბაზარზე არსებული პროთეზები ძალიან ძვირია და ბევრი ადამიანისთვის მიუწვდომელი „Hand4Help“ კი ბევრად იაფი და მოსახერხებელი პროდუქტია მომხმარებლებისთვის. აღნიშნულმა პროექტმა გამარჯვება მოიპოვა პროექტში „სტარტაპ საქართველო“.

„WIFISHER“-WIFIკომპანია

ინოვაციური სტარტაპი wifisher ორი წელია, რაც დასრულდა დავით ხოროშვილისა და რამდენიმე თანამოაზრის მიერ. იგი განკუთვნილია ტრადიციული ბიზნესებისთვის და ეხმარება მათ იმის განსაზღვრაში, თუ ვინ არიან მათი მომხმარებლები და რა უნდა გააკეთონ უფრო მეტი შემოსავლის მისაღებად. კომპანიას შეუძლია ინფორმაციის მოძიება ბიზნესის მომხმარებლებზე და მათი ჯგუფებში გადანაწილება, მაგალითად, ლოიალური, ახალი ან დაკარგული მომხმარებლები. გარდა ამისა, wifisher-ის დახმარებით შესაძლებელია კონკრეტული ადამინების ჯგუფებისათვის ვიფი რეკლამის გადაგზავნა მაშინ, როდესაც ისინი კონკრეტულ ადგილას იმყოფებიან. საქართველოს გარდა, კომპანია ლიტვაშიც ფუნქციონირებს, ხოლო 2018 წლისთვის კომპანია 7 ახალ ქვეყანაში აპირებს ბიზნესის გაფართოებას.

„BREADER“ – ინოვაციური მოწყობილობა უსინათლოებისთვის

თავისუფალი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტებმა გადაწყვიტეს, შეექმნათ მოწყობილობა, რომელიც უსინათლოებს გაუმარტივებდა სწავლის პროცესს. დღემდე შშმ პირებისთვის ყველაზე მწვავე პრობლემად ინფრასტრუქტურის არარსებობა რჩება, ამიტომ სტუდენტებმა შეიმუშავეს სასკოლო მერხების ინოვაციური ტიპი. მერხს ექნება ტექსტის რამდენიმე ხაზი, რაც გააიოლებს სწავლების პროცესს. ასევე, მოსწავლის მიერ აკრეფილი ტექსტი, ელექტრონული წიგნების წამკითხველის წყალობით, მასწავლებლის ეკრანზე გამოისახება, ხოლო მასწავლებლის აკრეფილი ტექსტი უსინათლოთა მერხებზე გამოჩნდება. Braille reader-ის უპირატესობა მდგომარეობს მის ხელმისაწვდომობასა და სწავლისთვის ადაპტირებულობაში.

„DESKOMY“-ონლაინ პორტალი

„დესკომის“ შექმნის იდეა 16 წლის ლუკა ყავიაშვილს ეკუთვნის, რომელსაც სურდა, შეექმნა ისეთი პლატფორმა, რომელის დახმარებითაც მომხმარებლებს ნებისმიერი ფაილის ატვირთვა/ჩამოტვირთვა, ერთმანეთისთვის გაზიარება შეეძლებოდათ. საიტის მეშვეობით ნებისმიერ დარეგისტრირებულ პირს შეუძლია, დაუკავშირდეს პირად კომპიუტერში განთავსებულ ინფორმაციას, თუმცა ჯერჯერობით მომხმარებლებს უფასო „GB-იანი მოცულობის მახსოვრობის გამოყენება შეუძლიათ. ლუკა თავისი იდეით „Seedstars Tbilisi 2017“-ის ფინალისტი გახდა და 10 საუკეთესო სტარტაპს შორის მოხვდა.

BFM.GE

ანაკლიის პორტის პროექტით ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის წევრები დაინტერესდნენ

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მენეჯმენტი ყაზახეთის რესპუბლიკაში პორტების, სატრანსპორტო სექტორისა და სხვადასხვა კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრებს განაგრძობს.

„ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ ქალაქ ასტანაში „ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის“ წარმომადგენლობით ოფისში უმასპინძლეს, რომელიც აბრეშუმის გზის პროექტში მონაწილე ქვეყნებისა და კომპანიების ნაწილს აერთიანებს. „ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი“ მიზნად აზიასა და ევროპას შორის ტვირთის გადაზიდვის პროცედურების დაჩქარება-გამარტივებას და სპეციალური შეღავათიანი ტარიფების შემუშავებას ისახავს.

შეხვედრა შედგა უდიდესი მშრალი პორტის — ხორგოსის, კურიკის ნავსადგურის, აქტაუს პორტის, ყაზახეთის რკინიგზისა და მისი შვილობილი ლოგისტიკური კომპანიის წარმომადგენლებთან. კონსორციუმის გენერალურმა დირექტორმა ლევან ახვლედიანმა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტი წარადგინა. შეხვედრას საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ყაზახეთის რესპუბლიკაში ზურაბ აბაშიძეც ესწრებოდა.

შეხვედრის შემდეგ კი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა ანაკლიის ღრმაწყლოვან ნავსადგურსა და ხორგოსის მშრალ პორტს შორის.

ახაშენს ახალი სასტუმრო ექნება

ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტის ამოქმედებიდან მცირე დროში პროგრამას უკვე 38-ე ბენეფიციარი ჰყავს. გურჯაანის რაიონის, სოფელ ახაშენში მაღალი სტანდარტების შესაბამისი 41-ნომრიანი სასტუმრო გაიხსნება.

სასტუმრო „ახაშენი რეზორტი“ მშენებლობას ერთ-ერთ საუკეთესო ადგილზე გეგმავს, რომელიც მიმზიდველი ლოკაცია იქნება როგორც ტურისტებისთვის, ასევე ადგილობრივი ვიზიტორებისთვის. 41-ნომრიან სასტუმროში, სადაც პირველ ეტაპზე 35 ადამიანი დასაქმდება, განთავსებული იქნება მაღალი დონის რესტორანი. ამასთანავე, თითოეულ ვიზიტორს საშუალება ექნება ისარგებლოს საკონფერენციო დარბაზით და საცურაო აუზით.

ახალი სასტუმრო, რომელიც 2018 წლის მარტის თვიდან ამოქმედდება, მიზნად ისახავს საქართველოში ღვინის გზის მიმართულებით ტურიზმის განვითარებას და წარმოებული პროდუქციის ცნობადობის ამაღლებას. აღნიშნული პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა 5 520 000 ლარს შეადგენს.

შეგახსენებთ, რომ 2018 წლის 18 იანვრის თვის მონაცემებით, პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების ფარგლებში მხარდაჭერილია 38 პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 113 მლნ. ლარზე მეტს. აღნიშნული სასტუმროები შექმნიან დამატებით 174 ოთახს და 1200-ზე მეტ სამუშაო ადგილს.

◎ ტოპ-ჩემპიონატების გულშემატკივართათვის

მესის რეკორდი, კეინის ისტორია და ჭითელი შაპრონი...

ვითვალისწინებთ რა გულშემატკივართა ინტერესს, გთავაზობთ ინგლისის პრემიერლიგის, ესპანეთის ლა ლიგის, გერმანიის ბუნდესლიგისა და საფრანგეთის ლიგა 1-ის მორიგი ტურის საინტერესო სტატისტიკურ მონაცემებს, ფაქტებს, ისტორიულ მიღწევებს. მაშ ასე, ტოპ-ჩემპიონატები ერთ გვერდზე...

ესპანეთი, ლა ლიგა

5 – კრისტიან განეა ლა ლიგის ისტორიაში მეხუთე რუმინელი გახდა, რომელმაც ბასკური გუნდის რიგებში ითამაშა. მანამდე იგივე გიცა კრაიოვეანუმ, იონ მარამ, კოზმინ კონტრამ და ანდრიან ილიემ გააკეთეს.

10 – ლუის სუარესმა ბოლო 8 მატჩში მეათე გოლი გაიტანა. ურუგვაელს მანამდე 7 შეხვედრაში მხოლოდ 2 გოლი ჰქონდა გატანილი.

125 – ჟორდი ამატმა „ლეგანესთან“ 125 პასი შეასრულა და ეს მიმდინარე სეზონის რეკორდია. „ბეტისის“ ფეხბურთელებს შორის ბოლოს ასეთი მაღალი შედეგი 2005-2006 წლების სეზონში დაფიქსირდა.

4 – ხოაკინ სანჩესმა მიმდინარე სეზონში მეოთხე გოლი გაიტანა და ეს უფრო მეტია, ვიდრე „ბეტისში“ მისი დაბრუნების შემდეგ ნაჩვენები შედეგიანობა.

366 – ლიონელ მესიმ ლა ლიგაში 366-ე გოლი გაიტანა და გერდ მიულერის რეკორდი დაამხო (365 გოლი). არგენტინელი ტოპ 5 ჩემპიონატის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია.

4 – კრიშტიანუ რონალდუ მიმდინარე სეზონში ლა ლიგაში:

14 თამაში, 94 დარტყმა, 32 დარტყმა კარში, 4 გოლი...

2 – ვინჩენცო მონტელა „სევილიას“ პირველი მწვრთნელია 1997 წლის შემდეგ, რომელმაც საწყისი ორი თამაში წააგო. ბოლოს ასეთი ცუდი შედეგი იულიან რუბიოს ჰქონდა.

8 – პაულინიოს ორჯერ მეტი გოლი აქვს გატანილი, ვიდრე „რეალის“ 4 თავდამსხმელს ერთად (ბეილი, რონალდუ, ისკო, ასენსიო - 4 გოლი).

100% – ანდრე გომეშს „ბარსელონას“ ძირითად შემადგენლობაში თამაშის დროს არაზუსტი პასი არ გადაუცია (13). ასეთი რამ პორტუგალიელს აქამდე არ გაუკეთებია.

39 – „სოსიედადთან“ პაულინიომ კარში პირველად 39-ე წუთზე დაარტყა და გოლი გაიტანა.

408 – ვილიან ჟოზემ „ბარსელონას“ 408-წუთიანი მშრალი სერია დაუსრულა ბასკური გუნდების წინააღმდეგ.

7 – „ბარსელონას“ „ანოეტაზე“ ზედიზედ 7 მატჩი არ ჰქონდა მოგებული (2 ფრე, 5 მარცხი) და ეს „ბლაუგრანასთვის“ 21-ე საუკუნეში ყველაზე ცუდი შედეგია.

1998 – „ესპანიოლი“ „ბილბაოსთან“ საკუთარ მოედანზე უკვე 20 მატჩია არ დამარცხებულა (13 მოგება, 7 ფრე). ბოლოს კატალონიელებმა 1998 წელს (0:1) წააგეს. „ბილბაოს“ ამჟამინდელი მწვრთნელი კუკო ზიგანდა მაშინ მოედანზე იყო.

4 – მუნირ ელ ჰადადიმ „ალავესის“ ბოლო 5 გოლიდან ოთხში უშუალო მონაწილეობა მიიღო (2 გოლი, 2 პასი).

4 – „სევილიამ“ უკვე ზედიზედ ოთხი მოუგებელი მატჩი ჩაატარა (1 ფრე, 3 მარცხი) და აქედან სამ შემთხვევაში მინიმუმ სამი გოლი გაუშვა.

6 – „ლევანტემ“ ლა ლიგაში საკუთარ მოედანზე „სელტასთან“ მეექვსე მოუგებელი მატჩი ჩაატარა (1 ფრე, 5 მარცხი) და ამაზე ცუდი მაჩვენებელი სხვა მეტოქეებთან არ აქვს.

9 – პიონე სისტომ ბოლო რვა საგარეო მატჩში 9 გოლში მიიღო მონაწილეობა (2 გოლი, 7 პასი).

40 – „ვალენსიას“ ისტორიაში ყველაზე წარმატებული სტარტი აქვს, ერთ სეზონს თუ არ ჩავთვლით. 40 ქულაზე მეტი ქულა ამ დროისთვის, „ღამურებს“ მხოლოდ 2003-2004 წლების სეზონში ჰქონდათ (43 ქულა) და მაშინ ჩემპიონებიც გახდნენ.

3 – „დეპორტივოს“ მეკარე რუბენ მარტინესმა მიმდინარე სეზონში მესამე გოლი გაუშვა საკუთარი შეცდომის შედეგად და ეს ყველაზე უარესი მაჩვენებელია. ასეთივე შედეგი აქვთ ფერნანდო პაჩეკოსა და ჩიჩიცოლას.

8 – „ატლეტიკომ“ მიმდინარე სეზონში ერთი გოლის სხვაობით ყველაზე მეტი მატჩი მოიგო (8).

8 – „ატლეტიკოს“ ამ დროისთვის მხოლოდ რვა გოლი აქვს გაშვებული. ეს მიმდინარე სეზონში საუკეთესო შედეგია. „როხიბლანკოს“ ანალოგიური მაჩვენებელი 1995-1996 და 2015-2016 წლების სეზონებში ჰქონდა.

1 – მას შემდეგ, რაც “ატლეტიკომ“ „ჟირონასთან“ პირველ ტაიმში ორი გოლი გაუშვა, 18 თამაში ისე ჩაატარა, რომ საწყის 45 წუთში ერთადერთი გოლი გაუშვა (ვილიან ჟოზესგან).

4 – „ვილიარეალმა“ პაბლო ფორნალსის გოლებით ლა ლიგაში 4 ქულა მოიპოვა: ორი მადრიდში, ორიც – ვიგოში.

13 – მარსელომ „ვილიარეალთან“ საჯარიმოში 16-ჯერ ჩააწოდა და აქედან 13-ჯერ არაზუსტად. ეს ბრაზილიელის ყველაზე ცუდი შედეგია ლა ლიგაში.

28 – „რეალმა“ „ვილიარეალთან“ კარისკენ 28-ჯერ დაარტყა და ეს მიმდინარე სეზონში მისი საუკეთესო შედეგია (კარში 7 დარტყმა, გოლი – 0).

1 – „ვილიარეალმა“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ „რეალს“ პირველად მოუგო (1 მოგება, 5 ფრე, 12 მარცხი).

46 – მას მერე, რაც ლა ლიგა 20-გუნდიანია, 19 ტურის შემდეგ „ლას პალმასზე“ მეტი გოლი არავის გაუშვია (46).

6 – „ჟირონამ“ საკუთარ მოედანზე ყველაზე დიდი ანგარიშით მოიგო. კატალონიელებს მანამდე 6:0 შინ ერთადერთხელ მოეგოთ (1958 წელს, „ალავესთან“).

0 – „ხეტაფეს“ საკუთარ მოედანზე ზედიზედ 4 მატჩია, გოლი არ გაუშვია და ასეთი კარგი სერია ბოლოს 2007 წელს ჰქონდა, როდესაც ბერნდ შუსტერი თავკაცობდა.

4 – კალას ლა ლიგაში საკუთარ მოედანზე ოთხი გოლი აქვს გატანილი და ოთხივე – თავით: ორი „სევილიაში“, ორიც – „ხეტაფეში“.

9 – მხოლოდ კრიშტიანუ რონალდუმ ნიკლას ფიულკრუგზე (9 დარტყმა) დაარტყა კარისკენ უფრო მეტჯერ (11) გასულ უიქენდზე. რონალდუსგან განსხვავებით, „ჰანოვერის“ ფეხბურთელმა ჰეთ-თრიქი შეასრულა.

გერმანია, ბუნდესლიგა

6000 – რენატო სტეფენი გახდა მე-6000 ფეხბურთელი, რომელმაც ბუნდესლიგაში „ვოლფსბურგის“ რიგებში ითამაშა.

1 – იადონ სანჩომ და ალექსანდერ ისაკმა ბუნდესლიგაში სადებიუტო მატჩები ჩაატარეს.

2 – „კიოლნმა“ ბოლო ოთხ მატჩში, როდესაც შტეფან რუტენბეკი წვრთნის, ორი მოიგო. ეს უფრო მეტია, ვიდრე მანამდე „თხებმა“ 21 შეხვედრაში გააკეთეს.

8 – „ლაიფციგმა“ ბუნდესლიგის ყველა ის მატჩი მოიგო, რომელშიც ნაბი კეიტამ გოლის გატანა მოახერხა (8 თამაში).

14 – „ჰოფენჰაიმმა“ ბუნდესლიგაში ბოლო 16 გოლიდან 14 მეორე ტაიმში გაუშვა.

3 – ნიკლას ფიულკრუგი „ჰანოვერის“ პირველი ფეხბურთელია 2011 წლის შემდეგ, რომელმაც ჰეთ-თრიქი შეასრულა. ბოლოს ასეთი რამ აბდელაუეს ჰქონდა გაკეთებული.

155 – მარიო გომესს ბუნდესლიგაში 155 გოლი აქვს გატანილი და ეს თითქმის ორჯერ მეტი იყო, ვიდრე ბერლინის „ჰერტას“ სასტარტო შემადგენლობაში მყოფი ფეხბურთელების ერთად ნაჩვენები შედეგი (80 გოლი).

0 – „ჰამბურგს“ ბოლო 6 თამაში ზამთრის პაუზის შემდეგ არ მოუგია (1 ფრე, 5 მარცხი).

124 – ხამეს როდრიგესი ბუნდესლიგაში ყოველ 124 წუთში გატანილ გოლში მონაწილეობს.

3785 – სანდრო ვაგნერმა „ბაიერნში“ 3785 დღის შემდეგ ისევ ითამაშა და ეს კლუბის რეკორდია. აქამდე საუკეთესო შედეგი მათს ჰუმელსს ჰქონდა (3387 დღე).

საფრანგეთი, ლიგა 1

6/9 – „კაენი“ ლიგა 1-ის ბოლო 10 ტურში:

6 ქულა – „ბორდოს“ წინააღმდეგ

3 ქულა – დანარჩენი გუნდების წინააღმდეგ.

65 – ტონი შაპრონმა მას შემდეგ, რაც ლიგა 1-ში დებიუტი ჰქონდა (2004-2005 წლების სეზონი), ყველაზე მეტი წითელი ბარათი უჩვენა ფეხბურთელებს (65).

10 – არც ერთი ფეხბურთელის წინააღმდეგ იმდენჯერ არ დაჯარიმებულან ბოლო 10 წლის განმავლობაში, რამდენჯერაც ნაბილ ფეკირის წინააღმდეგ გასულ ტურში (10).

14 – ნაბილ ფეკირი ტოპ ჩემპიონატებში ფრანგ ფეხბურთელებს შორის საუკეთესო ბომბარდირია (14 გოლი).

5 – „ანჟერის“ ბოლო 5 გოლი ლიგა 1-ში კარლ ტოკო-ეკამბის ანგარიშზეა.

4 – ბენუა კოსტილმა ბოლო ხუთი პენალტიდან მეოთხე აიღო.

2015 – ჟერმენი და ტოვინი გახდნენ 2015 წლის შემდეგ „მარსელის“ პირველი ფეხბურთელები, რომლებმაც ერთ მატჩში გოლიც გაიტანეს და საგოლე პასიც შეასრულეს. 2015 წელს იგივე ერთ მატჩში ბატშუაიმ და ნკუდუმ მოახერხეს.

3-3 „სტრასბურმა“ ბოლო სამი თამაში წააგო და სამივე დიმიტრი ლინარის გარეშე ჩაატარა.

ინგლისი, პრემიერლიგა

13 – რომელუ ლუკაკუმ „ოლდ ტრაფორდზე“ გამართულ 16 მატჩში 13 გოლში მიიღო მონაწილეობა (10 გოლი, 3 პასი).

50 – „სტოკ სიტი“ გახდა მიმდინარე სეზონში პირველი გუნდი ელიტური ჩემპიონატების გუნდებიდან, რომელმაც 50 გოლი გაუშვა.

14 – პოლ პოგბა პრემიერლიგის ბოლო 14 მატჩში 14 გოლში მონაწილეობდა (4 გოლი, 10 პასი).

3 – ანტონიო ვალენსიამ მიმდინარე სეზონში 3 გოლი გაიტანა (19 მატჩში). ეს უფრო ბევრია, ვიდრე მანამდე 4 სეზონში გაიტანა (103 თამაში).

5 – იურგენ კლოპმა პეპ გვარდიოლას წინააღმდეგ ყველა ტურნირის ჩათვლით მეხუთე თამაში მოიგო და ყველაზე კარგი შედეგი აქვს ესპანელთან.

5 – კაილ უოლკერს 21 მატჩში 5 საგოლე პასი დაუგროვდა. ზუსტად ასეთივე შედეგი აჩვენა გასულ სეზონშიც.

3 – ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენმა „ლივერპულში“ (20 მატჩი) უფრო მეტი გოლი გაიტანა, ვიდრე მანამდე „არსენალში“ ჩატარებულ 71 თამაშში.

9 – „არსენალმა“ 9 ქულა დაკარგა იმ მატჩებში, რომლებშიც ანგარიში გახსნა.

3 – „არსენალმა“ წააგო ბოლო სამი მატჩი, რომელშიც ალექსის სანჩესს არ უთამაშია (0:1 „სტოკთან“, 1:2 „უოტფორდთან“ და 1:2 „ბორნმუთთან“).

283 – მხოლოდ 283 წამი იყო შუალედი კალუმ უილსონისა და ჯორდან იბეს გოლებს შორის.

2 – ჰექტორ ბელერინმა ბოლო ორ მატჩში უფრო მეტი გოლი გაიტანა (2), ვიდრე მანამდე ჩატარებულ 97 თამაშში.

13 – „ბორნმუთისა“ და „არსენალის“ მატჩის ძირითად შემადგენლობებში 13 ინგლისელი ფეხბურთელი იყო. ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გამოდგა „მეთოფეების“ შეხვედრებში 2002 წლის იანვრის შემდეგ („ლიდსთან“ სასტარტოში 14 ინგლისელი იმყოფებოდა).

4 – სემ ელერდაისმა პრემიერლიგაში მე-19 თამაში წააგო ოთხი ან მეტი ბურთის სხვაობით. ასეთი ცუდი შედეგი არც ერთ მწვრთნელს არა აქვს.

7 – დელე ალიმ 22 პრემიერლიგურ მატჩში მეშვიდე საგოლე პასი მიითვალა. ამდენივე შედეგიანი გადაცემა ჰქონდა გასულ სეზონშიც, თუმცა, 37 შეხვედრაში.

98 – ჰარი კეინი „ტოტენჰემის“ საუკეთესო გოლეადორი გახდა პრემიერლიგაში (98 გოლი). მან ტედი შერინგემს გადაასწრო.

20 – ჰარი კეინი გახდა მხოლოდ მესამე ფეხბურთელი პრემიერლიგის ისტორიაში, რომელმაც ზედიზედ 4 სეზონში მინიმუმ 20 გოლის გატანა მოახერხა: ტიერი ანრი (5 სეზონი), ალან შირერი (4 სეზონი).

5 – სონ ჰონ-მინი „ტოტენჰემის“ მეორე ფეხბურთელი გახდა, რომელმაც პრემიერლიგაში ზედიზედ 5 მატჩში გაიტანა გოლი (მანამდე იგივე ჯერმეინ დეფომ გააკეთა 2004 წლის ნოემბრიდან დეკემბრამდე).

3 – „ჩელსიმ“ ისტორიაში პირველად ითამაშა ზედიზედ სამ მატჩში 0:0.

7 – „საუთჰემპტონი“ გახდა მე-7 გუნდი, რომელმაც პრემიერლიგაში 1000 გოლი გაუშვა.

11 – „ჰადერსფილდმა“ საკუთარ მოედანზე გოლების 69% ლონდონური გუნდების წინააღმდეგ გაიტანა (16-დან 11).

6 – მარკო არნაუტოვიჩი „ვესტ ჰემის“ მეექვსე ფეხბურთელი გახდა, რომელმაც სამ და მეტ მატჩში ზედიზედ შეძლო სტუმრად გოლის გატანა. ამავდროულად პირველია დიაფარა სახოს შემდეგ. სახომ 2014 წელს მოახერხა იგივეს გაკეთება.

12 – „ლესტერმა“ პირველ ტაიმში „ჩელსის“ კარის მიმართულებით 12-ჯერ დაარტყა და ეს საუკეთესო შედეგია „სტემფორდ ბრიჯზე“ 2003-2004 წლების სეზონის შემდეგ.

62 – მარკ ნობლიმ „ვესტ ჰემის“ რიგებში 35 გოლი გაიტანა და 27 საგოლე პასი მიითვალა. ამაზე უკეთესი შედეგი „ჩაქუჩების“ რიგებში მხოლოდ პაოლო დი კანიოს აქვს (78 გოლი+პასი).

6 – ბაკარი საკომ ყველა ტურნირის ჩათვლით მეექვსე გოლი გაიტანა და ეს „კრისტალ პალასის“ რიგებში საუკეთესო შედეგია მიმდინარე სეზონში.

16 – „ბრაიტონმა“ სტანდარტული სიტუაციებიდან მე-16 გოლი გაუშვა და ეს მიმდინარე სეზონში ყველაზე ცუდი შედეგია.

9 – „ვესტ ბრომვიჩს „სახლში არასდროს წაუგია „ბრაიტონთან“ (9 თამაში).

გიორგი ზოთაძე

სანთელი

მურად ანჯაფარიძე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებამ უდიდესი დანაკლისი განიცადა — მის რიგებს 68 წლის ასაკში გამოაკლდა აფხაზეთში, საკუთარ კარ-მიდამოში დაბრუნების აუსრულებელი ოცნებით გულდაფერფლილი კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მურად ანჯაფარიძე.

მურად ანჯაფარიძე დაიბადა 1949 წლის 10 ივნისს ქ. სოხუმში. დაამთავრა ქ. სოხუმის I საშუალო სკოლა, 1972 წელს — სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი, 1982 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი.

თავისი ცხოვრების წესით, მსოფლმხედველობით, მუდმივი სიახლეების ძიებით, მურად ანჯაფარიძემ ახალგაზრდული ასაკიდანვე მიიპყრო ყურადღება, დაიმსახურა საზოგადოების პატივისცემა და ნდობა. ის გარკვეული წლების მანძილზე კოორდინირებდა ქვეყნის ოლიმპიური გუნდების მომზადების პროცესს და გამოავლინა ლიდერის თვისებები, რის გამოც არჩეული იქნა ქ.სოხუმის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელად.

დაკისრებული საქმისადმი მაღალმა პასუხისმგებლობამ განაპირობა მისი შემდგომი დაწინაურება ჯერ ქალაქის მმართველობის სტრუქტურებში, შემდგომ სამართალდამცავ ორგანოებში. ის მუშაობდა აფხაზეთის საგზაო პოლიციის უფროსად, შემდგომ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ. აფხაზეთში საომარი მოქმედებების პერიოდში პოლიციის პოლკოვნიკმა, სამართალდამცავი ორგანოების დამსახურებულმა მუშაკმა მურად ანჯაფარიძემ სრულად გამოავლინა თავისი პატრიოტული სულისკვეთება და მაღალი მოქალაქეობრივი პოზიცია, დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისთვის“. არც დევნილობის პერიოდში დარჩენილა შეუმჩნეველი მისი აქტიური მუშაობა აფხაზეთის პრობლემის დარეგულირებისა და დევნილთა საჭირბოროტო საკითხების გარშემო. ის დაჯილდოებული იქნა ღირსების ორდენით.

ახალგაზრდობაში, მისი სპორტული გატაცების გათვალისწინებით, წარმატებით თამაშობდა აფხაზეთის ფეხბურთის გუნდებში, ის არჩეული იქნა აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად და მინიჭებული ჰქონდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის სტატუსი. ამ თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში მისი ხელმძღვანელობით, ჩვეული პასუხისმგებლობით, სითბოთი და სიყვარულით განხორციელდა მრავალი პროექტი აფხაზეთიდან დევნილი ფეხბურთელების ხელშესაწყობად, აფხაზეთიდან დევნილი ვეტერანი ფეხბურთელების პატივის მისაგებად. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მისი ინიციატივით ჩატარებული აფხაზეთის ფეხბურთის 100 წლის იუბილე და ამ თარიღისადმი მიძღვნილი სპეციალური ალბომის გამოცემა.

მურად ანჯაფარიძემ, ყველგან, სადაც კი უმუშავია, დატოვა თავისი ხელწერა — დაკისრებული საქმისადმი ერთგულება, სახელმწიფოებრივი აზროვნება, მაღალი პროფესიონალიზმი, თავმდაბლობა, განსაკუთრებულად თბილი, მეგობრული ურთიერთობების დამყარებისა და მაღალი კომუნიკაბელურობის უნარი.

საზოგადოებამ დაკარგა აფხაზეთის პრობლემის მოგვარების აქტიური მებრძოლი, ოჯახმა — ღირსეული მეუღლე, მზრუნველი მამა, საყვარელი ბაბუა, სანათესაომ — საამაყო ადამიანი, სამეგობრომ - ერთგული და საიმედო მეგობარი.

მშვიდობით ჩვენო მურად, მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა,

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

გია გვაზავა, თემურ დანელია, გურამ კაკულია, ოთარ ჭითანავა, კოტე შენგელია, კახა არდია, გოგი ბერაძე, ნუგზარ კახიშვილი, თემურ ჯანაშია, შოთა გვასალია, სოსო ხარებავა, ნუკრი გოგიტიძე, რუბენ გახარია, სოსო ჯღარკავა, თემურ ჯიჯგიაშვილი, მერაბ კილაძე, გია ბერაძე, გია მიქაძე, ანზორ დურგლიშვილი, გია კახეთელიძე ღრმა მწუხარებას გამოვხატავთ შესანიშნავი მეგობრის, დიდებული მამულიშვილის

მურად ანჯაფარიძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

შვილები თემურ, ზურაბ, ირინე ფოჩხუები, რძლები ლამზირა, მაია, სიძე ნუგზარ დადიანი, ძმისშვილები, დისშვილები ოჯახებით იუწყებიან

ეთერ (ქეთევან) იოსების ასული სალაყაია-ფოჩხუას

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 18, 19 I, 16 სთ. თბილისი, ვაზისუბნის IV მ.რ. I კვ. I კორპ. დაკრძალვა 21 I, 14 სთ. ქ. სენაკი დ. აღმაშენებლის 44.

თენგიზ, ქეთინო, ქეთი ქავთარაძეები სამძიმარს უცხადებენ ზურაბ, მაია, თემურ, ირინე ფოჩხუებს დედის

ეთერ (ქეთევან) იოსების ასული სალაყაია-ფოჩხუას

გარდაცვალების გამო.

თბილისის მერიაში ხანძარი გაჩნდა

თბილისის მერიაში გუშინ გამთენიისას, მე -13 სართულზე ხანძარი გაჩნდა. დამწვარია რამდენიმე კვადრატული მეტრი ფართობი. ცეცხლი იმ ოთახში გაჩნდა, სადაც ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა საქალაქო სამსახურია განთავსებული.

ადგილზე სახანძრო სამსახურმა იმუშავა, მოგვიანებით კი — ექსპერტ-კრიმინალისტებმა. ხანძრის მიზეზებთან დაკავშირებით განცხადება მოგვიანებით გაკეთდა.

◎ სულიერება

ნათლისღება - წყალკურთხევა

გაცხადება უფლისა და ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

19 იანვარს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია უდიდეს საუფლო დღესასწაულს — წყალკურთხევას, ნათლისღებას ზეიმობს, 20 იანვარს — კრებას წმიდისა დიდებულისა იოანე ნათლისმცემლისა.

აღსანიშნავია, რომ იუდეური ჩვეულების თანახმად, იმ ასაკში (30 წელი) უწინ სახალხო მასწავლებლის ან მოძღვრის წოდებას ვერავინ მიიღებდა, რადგან სჯულს ემორჩილებოდა, ღმერთკაცს სახარების ქადაგება გარკვეულ ასაკამდე არ დაუწყია. ის ნაზარეთიდან წავიდა იორდანეს ნაპირებისკენ, სადაც იოანე წინამორბედი თავის მსახურებას აღასრულებდა და ყველას წყლით ნათლობისკენ — სინანულისა და განწმენდისაკენ მოუწოდებდა.

მაცხოვარმა ჩვენმა — იესო ქრისტემ კაცობრიობის ცოდვები იტვირთა და „ხატი მონისა“ მიიღო ნათლისმცემლის ხელით და იორდანეში მოინათლა. ამით მან ნათლისღების აუცილებლობა ასწავლა ყველას. ამ დროს ცა გაიხსნა და სიწმინდის, მოკრძალებისა და ერთგულების სიმბოლო — მტრედის სახით — სულიწმინდის მადლი (სულიწმინდა) მათზე გადმოვიდა: **„ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვიყავი“...** — მამის ხმაც გაისმა. მაცხოვრის ღვთაებრიობა წმინდა სამების განცხადებამ დაამოწმა.

ნიშანდობლივია ისიც, რომ იესო ქრისტე წყლიდან გამოსვლის შემდეგ იორდანეს უდაბნოში განმარტოვდა, რათა ლოცვითა და მარხვით წინასაუკუნეთა მიერ მისთვის განსაზღვრული საქმისთვის — კაცობრიობის ხსნისთვის მომზადებულიყო. 40 დღე და ღამე გატარა მან ამ ველურ ადგილებში, სადაც მაცდური ეშმაკი დაამარცხა და სულიერად ძლიერი, მოწაფეებისა და ხალხის თანხლებით დაბრუნდა ყოვლადწმინდა დედასთან.

გადმოცემა გვამცნობს, რომ მცირე ხნის შემდეგ უფალი იესო ქრისტე კალას გალილეაში საქორწინო წვეულებაზე ღვთისმშობელთან ერთად მიიწვიეს, ქორწინდებოდა სვიმონ კანანელი... აღმოჩნდა, რომ ღვინო არ ჰყოფნიდათ. აი, აქ დაიწყო მან სასწაულების აღსრულება თავისი ყოვლადწმინდა დედის შუამდგომლობით.

იესომ იგრძნო, რომ ამ ქვეყნად მისი მოვლინება ზეციური მამის განგებით მოხდა, რომ ის მამის ნების აღმსრულებელია.

ნათლობის გარეშე ცხონება შეუძლებელია... როგორც თვითონ მაცხოვარმა ბრძანა: **„უკუეთუ ვინმე არა იშვას წყლისგან და სულისა, ვერ ხელეწიფების შესვლა სასუფევველსა ღმრთისასა“.**

წყალკურთხევა (დიდი აიაზმა) დედაეკლესიამ ნათლისღების მწუხრზე დააწესა... ამ დროს უბრალო წყალი მღვდლის ლოცვით განიწმინდება და სასწაულებრივ ძალას იძენს!

იოანე ნათლისმცემელი - სინანულის მოძღვარი

კრება იოანე ნათლისმცემლისა

20 იანვარს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს იოანე ნათლისმცემლის კრებას, რომელიც არის წინასწარმეტყველი, ის არის მღვდელ ზაქარიას (აარონის მოდგმა) და მართალ ელისაბედის (მეფე დავითის მოდგმა) შვილი.

ცნობილია, რომ იოანე ნათლისმცემელი დედის მხრიდან უფალი იესო ქრისტეს ნათესავი იყო და უფალზე ექვსი თვით ადრე დაიბადა... ღმრთის წყალობით, იგი სიკვდილს გადაურჩა, როდესაც ჰეროდეს ბრძანებით, ბეთლემსა და მის შემოგარენში ათასობით ჩვილი მოწყვიტეს, წმინდა იოანე ველურ უდაბნოში გაიზარდა, და დიდი მსახურებისთვის საკუთარ თავს მკაცრი ცხოვრებით — მარხვით და ლოცვით ამზადებდა.

საგულისხმოა, რომ მისი ქადაგების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მანამ, სანამ გარეგნულად განიბანებოდნენ, ადამიანები ზნეობრივად უნდა განიწმინდონ და ასე მოემზადონ სახარების მისაღებად. რა თქმა უნდა, იოანეს ნათლობა ჯერ კიდევ ქრისტიანული ნათლობის მადლმოსილი საიდუმლო არ იყო.

უფალმა იესო ქრისტემ იოანე ნათლისმცემელზე აი, რა თქვა: **„დედაკაცთაგან შობილთა შორის არ აღმდგარა იოანე ნათლისმცემელზე უმეტესი“.**

იოანე ნათლისმცემელი ეკლესიის მიერ განიდიდება, როგორც **„ანგელოზი, მოციქული, მოწამე, წინასწარმეტყველთა ბეჭედი, ძველი და ახალი მადლის შუამავალი, დაბადებულთაგან უპატიოსნესი და სიტყვის ნათელი ხმა“.**

გიული ლიპარტია

იცით თუ არა, რომ...

• სირტაკი – არ არის ბერძნული ხალხური ცეკვა და ის სპეციალურად შექმნეს 1964 წელს კინოფილმ „ბერძენი ზორბასთვის“, რომელშიც მთავარი როლი შესანიშნავად შეასრულა დიდებულმა მსახიობმა ენტონი კუინმა, ხოთლო ფილმის ტრიუმფის შემდეგ, „სირტაკი“ საბერძნეთის ერთ-ერთ სადარბაზოს ბარათად იქცა, თანაც საგულისხმოა, რომ გადაღებების დროს ენტონი კუინმა ფეხი მოიტეხა, ამდენად თავდაპირველად ცეკვაში ჩაფიქრებული ნახტომები მცურავი მოძრაობებით შეცვალეს, რათა მსახიობს ფეხი ნაკლებად ტკენოდა?

• დედამიწაზე ყველაზე პოპულარული სასმელია ჩაი, მას ბევრ კუთხეში მეტად თავისებურად ამზადებენ. მაგალითად, ყალმიკეთში დიდად პოპულარულია ჯომბუ – ესაა რძიანი ჩაი, რომელსაც ამატებენ დაფნის ფოთოლსა და ჯავზს (მუსკატის კაკალს). ეს სასმელი სიცხეში კარგად კლავს წყურვილს, სიცივეში სხეულს ათბობს, ასევე ავადმყოფობის შემდეგ დიდებულ მატონიზირებელ საშუალებას წარმოადგენს?

• ყალმიკების ალკოჰოლიანი სასმელია რძის არაყი – „არკე“?

• ჩვენი პატარების ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ მოსაფერებელ ადგილს, რომელზეც კოცნა უკლებლივ ყველას უყვარს და ბედნიერად აცინებს კიდეც – მხედველობაში გვაქვს ჭიში! – ლათინურად ერთობ მკაცრი სახელი – „უმბილიკუსი“ ჰქვია?

• კუნძულ მადაგასკარზე მონადირეები ძაღლების მაგივრად გაწვრთნილ ლემურებს იყენებენ?

• კანარის კუნძულებზე (ესპანეთი) ადგილობრივი მოსახლეობა დღემდე იყენებს სტვენის ენას?

• მოსკოვის დიდი თეატრის წინ ტიტების მხოლოდ ორ ნაირსახეობას – „დიდ თეატრსა“ და „გალინა ულანოვას“ რგავენ, რომლებიც საბალეტო სპექტაკლებით მოხიბლულმა ჰოლანდიელმა მეყვავილე თეოდორ ლეფებრმა საგანგებოდ გამოიყვანა?

• ბარაკ ობამას პრეზიდენტობის დროს მისი და ოჯახის წევრების დასვენება რვა წლის მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატების ხაზინას 96 მილიონი დოლარი დაუჯდა? ერთ-ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, აშშ-ის საიდუმლო სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით გამოარკვია, რომ ფული დაიხარჯა ავიაბილეთების შესაძენად, ავტომანქანების დაქირავებაზე, ასევე სახელმწიფოს ხელმძღვანელისთვის ფეშენებლური ვილებისა და საიდუმლო სამსახურის აგენტებისთვის სასტუმრო ნომრების ანაზღაურებაზე?

„სამმაგი“ საფირმო...

საშუალო და უფროსი ასაკის ხალხს კარგად ახსოვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის საფირმო კოცნა, რომელსაც ხალხში „სამმაგი ბრეჟნევი“ შეარქვეს.

ამ საფირმო ამბორით ორი „პაჩი“ ლოყაზე, „საკონტროლო“ კი ტუჩებში იყო და გენერალური მდივანი მხოლოდ ყველაზე ძვირფას სტუმრებს აჯილდოებდა. ამ თვალსაზრისით ყველაზე ცნობილი იყო მისი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალისტური ერთიანი პარტიის გენერალური მდივნის ერიჰ ჰონეკერის „ზასი“.



არადა, ეს წესი რუსეთში ჯერ კიდევ პეტრე დიდის ხანაში იყო მიღებული, როცა აღდგომაზე მღვდლები, როგორც ჩანს, წმინდა პავლეს მოწოდებას შესაბამისად – „ესალმებოდეთ ერთურთს წმიდა ამბორით“, – მრევლს ტუჩებში კოცნიდნენ. მოზღვავებული გრძნობების გამოხატვას არც თავად ხელმწიფე თაკილობდა, რაც რომან „პეტრე პირველში“ მწერალ ალექსი ტოლსტოის აქვს აღწერილი – გმირ ჯარისკაცებს იგი ტუჩებში კოცნიდა...

„რუსეთის ოქრო“ პუტინისთვის

რუსეთის ავტომობილებისა და ავტოძრავების ცენტრალურმა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ცნობილი პროექტის „კორტეჟის“ მასალები გაასაიდუმლოვა, რომელიც სახელმწიფოს პირველ პირთა ავტომანქანების დამუშავებას ეხებოდა.

ინსტიტუტმა როსპატენტში დაარეგისტრირა საპრეზიდენტო ლიმუზინისა და დაცვის ყველგანმავლის ოფიციალური გამოსახულებანი. ამდენად, ახლა უკვე ყველას შეუძლია ამ ავტომანქანების დიზაინის შეფასება.

ცოტა ხნით ადრე ინსტიტუტმა დაარეგისტრირა სახელწოდება „აურუსი“, რომელიც ამ პროექტის მანქანებისთვის იქნება გამოყენებული. იგი ორი სიტყვის შერწყმით იწარმოა: „აურუმ“ (ოქრო) და „რუსია“ (რუსეთი).

ლიმუზინების პირველ პარტიას საგანგებო დანიშნულების ავტოფარეხი წლის დამლევამდე მიიღებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გასაცინებელი ა(მ)ბები

ალზრდა

ხნიერი ქალი ტრამვაიში ფეხზე დგას. გვერდზე მდგომი ხნიერი მამაკაცი სკამზე ყინჩად მჯდომ ბიჭუნას მიმართავს:

— ათ ზლოტს გაძლევ, თუ ადგილს დამითმობ.

ბიჭი უცებ წამოხტება, ხნიერი კაცი შეპირებულ ფულს აძლევს და ხნიერ ქალს მიუბრუნდება:

— დაბრძანდით, ქალბატონო.

— არა, ვერ დავჯდები, ფული თქვენ გადაიხადეთ, თქვენ უნდა დაბრძანდეთ.

— მე ეს აღმზრდელობითი მიზნით ჩავიდინე, დაე, ეს გაკვეთილი იყოს ამ ბიჭუნასთვის.

— დიდად მადლობელი ვარ.

ქალი დაჯდა და მკაცრად შეხედა ბიჭს.

— ბიჭიკო! — საყვედურიანი კილოთი უთხრა „გაფულიანებულ“ ყმაწვილს, — მადლობა მაინც უთხარი იმ ადამიანს მაგ ათი ზლოტისთვის.

მომსახურება

ოფიციანტი უგულოდ მიდის მაგიდასთან და მომხმარებელს მენიუს აწვდის.

— რას მიირთმევთ?

— იცით რა, მე დილით მოვედი, რათა მესაუზმა, ახლა კი უკვე სადილის დროა, ამიტომ სავახშმოდ რამე მომიტანეთ.

განსაკუთრებული მიზეზი

საჰარის უდაბნოში უკვე რამდენიმე თვეა, სამეცნიერო ექსპედიცია მუშაობს. ყველა დაქანცული და ხახაგამშრალია, მაგრამ განსაკუთრებით ტანჯულად იანი გამოიყურება.

— რატომ ხარ ეგრე გულჩათხრობილი, — ჰკითხეს ერთხელ ამხანაგებმა.

— ეტყობა, სახლი ენატრება.

— ჩვენ ყველას გვენატრება ჩვენ-ჩვენი სახლი.

— ამას ნამეტანი მოსდის.

— იქ რა, ლამაზი პატარძალი ელოდება?

— არა, დედამისს სოდიანი წყლის კიოსკი აქვს.

საღი ჰავა

ერთ პატარა ქალაქში ჩამომხდარი ტურისტი სასტუმროს ადმინისტრატორს ეკითხება:

— მართალია, რომ თქვენს მხარეში საღი ჰავაა?

— დედამიწის ზურგზე ყველაზე საღი ჰავა დიახაც აქ არის. აქ არც არავინ არა კვდება.

— ეგ როგორ? როგორც კი თქვენს ქალაქში შემოვედი, დავინახე, ვიღაცას მარხავდნენ.

— ეგ დამკრძალავი ბიუროს მფლობელი იყო, შიმშილისგან გარდაიცვალა.!

დასკვნა

ექიმი მეგობართან მიდის და ხედავს, რომ ის კაი დედამიშვილი კონიაკის ბოთლს მისჯდომია.

— უყურე ამას! — მრავალმნიშვნელოვნად შენიშნავს სტუმარი. — ესე იგი, სპირტიან სასმელს ეტანები. მერედა, იცი, ეგ რას გიმზადებს? მაგალითისთვის ავიღოთ ერთი ჯიშის ორი ძაღლი, ორსავეს ერთი და იგივე საჭმელი დავუდგათ, ოღონდ ერთს მცირეოდენი ღვინო ჩავუსხათ საჭმელიან ჯამში. გაკვეთა გვიჩვენებს, რომ ის ძაღლი, რომელსაც ღვინო დავუმატეთ, საჭმელს ბევრად უფრო ნელა ინელებს, ვიდრე მეორე ძაღლი, რომლისთვისაც ღვინო არ დაგვიმატებია. რას იტყვი, ეს რაზე მეტყველებს?

— იმაზე მეტყველებს, რომ ღვინო ძაღლებისთვის არ არის განკუთვნილი.

„საქართველოს რესპუბლიკის“ შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 23 იანვარს.

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.5463; ევრო - 3.1154;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5134;
100 რუბლი - 4.4951; თურქული ლირა - 0.6670;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4991;
1000 სომხური დრამი - 5.2637.

ამინდი 19 იანვრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -1, დღე +11
მთიანი რაიონები - ღამე -4, დღე +7
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +5, დღე +10
მთიანი რაიონები - ღამე 0, დღე +8
თბილისი: ღამე +3, დღე +9

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge